ახალი განათლება

01-07.10.2020

№28 (902) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

2 ლალი ჯელაძე
ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის პრობლემა სწორედ სპონტანურად მილებული გადაწყვეტილებებია

4 ლალი ჯელაძე
გარე დაკვირვება პირისპირ და ონლაინ ფორმატში

ტექნიკური ხარვეზის პრობლემები მასწავლებლის შეფასებაზე არ აისახება. ნამდვილად ღირს უფრო მეტი აქცენტის გადატანა უსაფრთხოებასა და ინფორმაციის სანდოობაზე და იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურია პედაგოგის მიერ ონლაინ სწავლებისას გამოყენებული სტრატეგიები.

მანანა ჩატიანი

6 მაკა ყიფიანი
სწორი ხედვა სკოლის განვითარებისთვის



8
გავაცოცხლოთ კარგი ლიდერის სტანდარტი რეალური ადამიანების სახით

სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის გამარჯვებულები: ლენა გომარითელი, გელა მაჭარაშვილი, ვარდენ ნიკაბაძე



აქტუალური თემა

ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის პრობლემა სწორედ სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილებებია

განათლების სპეციალისტი შალვა ტაბატაძე ინტერვიუში საუბრობს სწავლის დაწყებასთან მიღებულ გადაწყვეტილებაზე და აფასებს მოდელს, რომელსაც განათლების მინისტრი ყველაზე მოქნილ მოდელს უწოდებს – მშობლებს შეუძლიათ აირჩიონ სად ისწავლონ შვილებმა – სახლში თუ სკოლაში, დისტანციურად თუ პირისპირ.

შალვა ტაბატაძე მიიჩნევს, რომ ძალიან ცუდია, როცა სამინისტრო მხოლოდ ზოგადი განმარტებებით შემოიფარგლება და მშობლებს, რომლებსაც ონლაინ სწავლების სურვილი აქვთ, რეგისტრაციას სთავაზობს ისე, რომ დეტალების შესახებ არაფერი იციან.

„ეს ჩემთვის ნიშნავს, ერთი მხრივ, ცუდ კომუნიკაციას, მეორე მხრივ, სპონტანურ გადაწყვეტილებას, რაშიც დარწმუნებული ვარ, თუმცა, ორივე შემთხვევაში, ფაქტია, რომ მზაობა ნაკლებია.“

– ბატონო შალვა, რას ფიქრობთ რამდენიმე დღის წინ სწავლის დაწყებასთან მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, თქვენი აზრით, მოდელი, რომელიც სამინისტრომ გამოაცხადა, რამდენად მისაღებია და არის თუ არა მზად ამისთვის სისტემა? მშობლებს ეძლევათ არჩევანის საშუალება – შვილებმა ონლაინ ისწავლონ თუ პირისპირ. როგორც მინისტრი ამბობს, ყველაზე მოქნილი მოდელი შესთავაზეს, რას ფიქრობთ თქვენ ამ გადაწყვეტილების შესახებ?

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში მე კი არა, სამინისტროს თანამშრომლებსაც უჭირთ იმის თქმა, კონკრეტულად რაზეა საუბარი. ძალიან ცუდია, რომ მხოლოდ ზოგადი განმარტებები კეთდება და თან მშობლებს ეუბნებიან – გაიარეთ რეგისტრაცია თუ ონლაინ სწავლების სურვილი გაქვთ. როგორ შეიძლება მშობელმა რეგისტრაცია გაიაროს, როცა არაფერი არ იცის დეტალების შესახებ, არ არის საქმის კურსში. ზოგადად, იდეას რაც შეეხება, რომ მოქნილი სისტემა შეიქმნას და იყოს სხვადასხვა ტიპის არჩევანი – ეს მსოფლიო პრაქტიკაა.

რაც შეეხება საქართველოს, აქ მშობლების დიდი ნაწილი კლასში დაბრუნებას ითხოვს, თუმცა, ნაწილი ამბობს, რომ უსაფრთხოება და ჯანმრთელობა მათთვის უპირველესია, რომ ხედავენ რისკ-ფაქტორებს და ამიტომ ურჩევნიათ, სახლში იყვნენ შვილები და ონლაინ რეჟიმში ისწავლონ. აქ პრობლემა სხვა რამეშია. იმ ქვყნებში, სადაც სხვადასხვა სისტემებმა შესთავაზეს მშობელს არჩევანი, თუ გარკვეულ საფრთხეებს ხედავს, შეუძლია ონლაინ გაკვეთილები აირჩიოს. თუმცა, ყველა ქვეყანა ამ სისტემაზე გადასასვლელად სერიოზულად მოემზადა – დეტალურად და მკაფიოდ განსაზღვრეს, რა ფორმატით და როგორ მოხდება ონლაინ ჯგუფების ფორმირება, რა ტიპის სასწავლო გეგმა იქნება ასეთი სწავლებისას, რამდენად ინტერაქციულია მოდელი, გაივლიან თუ არა სხვადასხვა პროგრამებს ონლაინ და პირისპირ გაკვეთილებზე და ა.შ. აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ იდეა აპრობირებულია და მნიშვნელოვანი – მშობელმა რისკ-ფაქტორების გათვალსიწინებით თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, რა ფორმატით ურჩევნია, მისმა შვილმა რომ ისწავლოს. ჩვენ შემთხვევაში კი, ეს გადაწყვეტილება უცებ გამოცხადდა. ითქვა, რომ მშობლებმა გაიარონ რეგისტრაცია და არავინ იცის რა ფორმატით და როგორ ხდება ეს. რამდენადაც ჩემთვის არაფორმალურად არის ცნობილი, უნდა მოხდეს გაერთიანებული ჯგუფების ფორმირება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი სკოლის მეექვსე კლასის ნაწილი ონლაინ კი არ ისწავლის და ნაწილი პირისპირ, არამედ, ონლაინ სწავლების მსურველთა რაოდენობიდან გამომდინარე, დაკომპლექტდება ჯგუფი. მაგალითად, თბილისის გლდანი-ნაძლადევის რაიონიდან შეიქმნება ჯგუფი, რომელსაც ჩაუტარდება ონლაინ გაკვეთილი, რომელიც, სავარაუდოდ, მოიცავს რამდენიმე სკოლას ან, ერთი სკოლის ქვეშ, რამდენიმე კლასის მოსწავლეებს. რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება, რომ ერთი და იგივე მასწავლებელი ჩაატარებს პირისპირ გაკვეთილსაც და ონლაინ გაკვეთილსაც, არამედ, ონლაინ გაკვეთილის მსურველებს, მათი კონფიგურაციიდან გამომდინარე, შესთავაზებენ არა საკუთარი მასწავლებლის, არამედ შერჩეული მასწავლებლის მიერ ჩატარებულ ონლაინ გაკვეთილებს. დაზუსტებულად ნამდვილად არ ვიცი, თუმცა, ვარაუდს გამოვთქვამ, რომ დაახლოებით ასეთი სისტემა იქნება. მაგალითად, ამერიკაში, სადაც ჩემი შვილები სწავლობენ, ანალოგიური სისტემა მოქმედებს, თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდნენ ამისთვის. იგულისხმება, რომ მსურველებს სკოლა კი არ უტარებს ონლაინ გაკვეთილებს, არამედ შეარჩევს ორგანიზაციას, რომელიც სპეციალიზდებოდა დისტანციურ სწავლებაში. სწორედ ისინი ახორციელებენ აღნიშნულ სერვისს სკოლებისა და სასკოლო ოლქებისთვის. ასეთი დაგეგმილი იყო პროცესი და, რასაკვირველია, ირჩევნდენ ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც დისტანციური სწავლების სერიოზული გამოცდილება ჰქონდა და ერგებოდა კონკრეტული სასკოლო ოლქის სასწავლო გეგმას, მიდგომებს და ა.შ. ოლქის გარშემო გაერთიანებულ საერთო ჯგუფში ასეთი კრიტერიუმით შერჩეული პროფესიული ორგანიზაცია ახორციელებს დისტანციურ სწავლებას. განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული იდეა, ვფიქრობ მსგავსია, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენს სისტემას მსგავსი არაფერი გაუკეთებია და არც არანაირი მოსამზადებელი სამუშაოები არ ჩაუტარებია, თუნდაც შიგნით, სასკოლო ან რესურსცენტრის დონეზე. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არ თქმულა. თუ წინარე სამუშაოები განხორციელდა და სამინისტრომ ამაზე იფიქრა, ამის შესახებ აუცილებლად უნდა გვითხრას. მხოლოდ მშრალი ინფორმაციით არ უნდა შემოიფარგლოს – თუ ვინმეს არ გინდათ სკოლაში ატაროთ ბავშვი, ონლაინ სწავლებასაც შემოგთავაზებთო, ამისთვის, მოდით და დარეგისტრირდითო. ეს ჩემთვის ნიშნავს, ერთი მხრივ, ცუდ კომუნიკაციას, მეორე მხრივ, სპონტანურ გადაწყვეტილებას, რაშიც დარწმუნებული ვარ, თუმცა, ორივე შემთხვევაში, ფაქტია, რომ მზაობა ნაკლებია.

> ✓ *სამინისტრო მხოლოდ მშრალი ინფორმაციით არ უნდა შემოიფარგლოს – თუ ვინმეს არ გინდათ სკოლაში ატაროთ ბავშვი, ონლაინ სწავლებასაც შემოგთავაზებთო, ამისთვის, მოდით და დარეგისტრირდითო. ეს ჩემთვის ნიშნავს, ერთი მხრივ, ცუდ კომუნიკაციას, მეორე მხრივ, სპონტანურ გადაწყვეტილებას, რაშიც დარწმუნებული ვარ, თუმცა, ორივე შემთხვევაში, ფაქტია, რომ მზაობა ნაკლებია.*
>
> ✓ *განათლების ხედვა და განათლების ფილოსოფია საერთოდ არ ჩანს არც მიღებულ და არც განხორციელებულ გადაწყვეტილებებში.*

– მშობლები კიდევ სხვა, განსხვავებულ სწავლების მოდელზეც საუბრობენ – მაგალითად, ითხოვენ თუ სკოლაში სწავლებას აირჩევენ, უფლება მისცენ, რომ სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მათი შვილი დისტანციურ სწავლებაში ჩაერთოს. ასეთი ტიპის მოდელზე თუ გსმენიათ, არსებობს ასეთი პრაქტიკა?

– ეს ცოტა ამოვარდნილია, თუ ერთი სისტემით მიდის სწავლება, ორი დღით მეორე სისტემაში ჩართვა, რომელიც სრულიად განსხავავებულია დინამიკით და თუნდაც თემატიკით, ძალიან რთული იქნება. ანუ ეს არ არის სისტემა (ისევ ჩემს ვარაუდს ვამბობ), როდესაც ერთი და იგივე მასწავლებელი კლასშიც შედის და ონლაინ გაკვეთილსაც ატარებს. ასეთ შემთხვევაში, თუ ის აბსოლუტურად იდენტური იქნება (რაც ასევე მიუღებელია), განსხვავებულია მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება – ერთი პირისპირ და მეორე კომპიუტერში, კიდევ შეიძლება. თუ ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლის, ერთი და იგივე კონტინგენტია, არ განსხვავდება მიდგომები, უბრალოდ, პირისპირ მიდის პროცესი და ხან კომპიუტერით, მაშინ, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იქნებოდა (მაგრამ კიდევ გავიმეორებ, ეს მიუღებელია, ცუდია, რადგან დისტანციური სწავლება განსხვავებულია). მაგრამ, ისეთ სისტემაში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, სხვადასხვა კლასიდან გაერთიანებულ ჯგუფებთან სწავლებას ახორციელებს სხვა მასწავლებელი, სხვაგვარად წარმოუდგენელია. რა თქმა უნდა, თუ ეს დაუშვეს, რომ მოსწავლე ერთი დღე დისტანციურ გაკვეთილს დაესწროს და მეორე დღეს – პირისპირს, რაიმე თანმიმდევრულობაზე და შედეგებზე საუბარი ზედმეტია.

– რეალუარად, თქვენ ამბობთ, რომ სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით, ჩვენ მოვისმინეთ სპონტანური გადაწყვეტილება, რომლის შინაარსი ბუნდოვანია?

– როგორც ყოველთვის, ეს მართლაც ასეა. მთელი ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის პრობლემა, სწორედ, სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილებებია, რომელსაც თუ განათლების სფეროს პერსპექტივით და განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით შევხედავთ, რა თქმა უნდა, ეს არ შეიძლება! თავისთავად, ასე არ ხდება, 13 სექტემბერს მითხრა, რომ 15 სექტემბერს, პირისპირ სწავლების ნაცვლად, დისტანციურ სწავლებაზე უნდა გადახვიდე და მერე, 1 ოქტომბერს, ისევ უნდა დაუბრუნდე ან არ დაუბრუნდე სკოლას. ბუნებრივია, ამას ძალიან სერიოზული მომზადება სჭირდება როგორც ადმინისტრაციული, ისე ორგანიზაციული კუთხით, სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც. მარტო ცხრილების შედგენა ხომ არ კმარა, მით უმეტეს, როცა რეგულირებულია მანძილები, ყველაფერს გადაწყობა სჭირდება. მასწავლებელმა, ლექტორმა ხომ უნდა დაგეგმოს პროცესი. ამიტომ, ეს გადაწყვეტილება, რასაკვირველია, სპონტანურია და თან პასუხისმგებლობა მთლიანად გადააქვთ სკოლებსა და უმაღლესებზე მაშინ, როდესაც ამის განხორციელება სრულიად არარეალისტურია ორივესთვის.

უნივერსალურად მიღებულ გადაწყვეტილებას მაშინ ვიგებთ, როცა, მაგალითად, თბილისისზოგიერთ სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში სწავლა უკვე დაწყებულია. მათ აწყვეტინებ დაწყებულ სასწავლო პროცესს და ეუბნები, რომ ორ დღეში გადაერთონ ონლაინ სწავლებაზე, მერე, ცოტა ხანში, ისევ დაუბრუნდნენ. ამას აკეთებ იმის ნაცვლად, რომ გაითვალისწინო, სკოლა ან უნივერსიტეტი არის თუ არა მზად სასწავლო პროცესისთვის. არ არის აუცილებელი შეაწყვეტინო, მაგალითად, კერძო სკოლებს დაწყებული სასწავლო პროცესი, მათთან მიმართებაში შესაძლებელია სხვა რეგულაციებით იხელმძღვანელო, ვიდრე საჯარო სკოლაში. ეს გადაწყვეტილებაც, ერთი მხრივ, სპონტანურია და, მეორე მხრივ, არ მომდინარეობს განათლების სამინისტროსგან. ჩემდა სამწუხაროდ, ხშირად პრობლემა სწორედ განათლების სამინისტროს, ზოგადად განათლების სისტემის, ძალიან სუსტი ხმაა როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისევე მისი იმპლემენტაციისას. განათლების ხედვა და განათლების ფილოსოფია საერთოდ არ ჩანს არც მიღებულ და არც განხორციელებულ გადაწყვეტილებებში. სწორედ ამის გამო გვაქვს ასეთი სურათი. ახლა ვიღაც ჯანდაცვიდან ფიქრობს, რომ შესაძლებელია ორ დღეში გადავიდეს სკოლა დისტანციური სწავლების რეჟიმზე და შესაძლებელია, ასეთი ბრძანება გასცეს ისე, რომ არავინ იკითხოს სასკოლო თუ საუნივერსიტეტო საზოგადოების აზრი. მათ შორის, არც მშობლის აზრი აინტერესებს ვინმეს, არც მის ეკონომიკურ ფაქტორს ითვალისწინებს, რაც, ფაქტობრივად, ქვეყნის ეკონომიკასაც განავითარებს. უცებ უცხადებს მშობელს, იცით რა, პირისპირ სწავლება ორ დღეში კი უნდა დაწყებუ-

აქტუალური თემა

ლიყო, მაგრამ ახლა დისტანციურად დაიწყება. ასე მარტივი არ არის – თავისთავად მშობელმა ბავშვების უსაფრთხოებაზეც უნდა იფიქროს, მაგრამ მან სამსახურთან დაკავშრებული გეგმებიც უნდა შეცვალოს. რეალურად, პირდაპირ ეუბნები მშობელს, რომ გააცდინე სამსახური ან შეცვალე შენი ბიზნეს გეგმები. სამწუხაროდ, არც ამ კუთხით აქვთ ნაფიქრი, არც აქ ჩანს განათლების პოლიტიკა. სპონტანური გადაწყვეტილებები კი მძიმე ტვირთად აწევს სკოლასაც, მშობელსაც, მასწავლებელსაც და მათი ძალისხმევა მიმართულია უშედეგო პროცესებზე.

– რადგან პასუხისმგებლობა ვახსენეთ, დაინფიცირების შემთხვევების საგრძნობლად გაზრდილ ფონზე, მშობლებზე გადაწყვეტლების დაკისრება – შვილებმა ონლაინ ისწავლონ თუ პირისპირ, ხომ არ ნიშნავს სახლმწიფოს გაქცევას პასუხისმგებლობისგან?

– მე ვერ ვიტყვი, რომ აქ მაინცდამაინც პასუხისმგებლობის გადაბარება/გადაბრალება იყოს პრობლემა. ეს ცალსახად ვერ მოხდება ხელისუფლების მხრიდან, რადგან მთავრობამ იცის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, თუ სიტუაცია გაუარესდა, მშობელს ვერაფერს გადააბრალებს და ვერც პასუხისმგებლობას დააკისრებს, ვერც იმ მშობელს, რომელმაც, სკოლაში წაყვანის ნაცვლად, შვილი სახლში დატოვა და ვერც იმას, ვინც სკოლაში წაყვანის გადაწყვეტილება მიიღო, რადგან სახელმწიფომ თქვა, რომ სკოლაში ყველაფერი მზად აქვს. ამიტომ არ მგონია, გადაბრალებისა და პასუხისმგებლობის მოხსნის მექანიზმმა იმუშაოს. ეს, უფრო მეტად, იმ ხმაურიანი მშობლების ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება, რომლებიც ფიქრობენ, რომ უმჯობესი იქნებოდა, მათი შვილები სახლში ყოფილიყვნენ. ჩემთვის, აბსოლუტურად გაუგებარია, რა განსაზღვრავს ამ დინამიკას. მაგალითად, სექტემბრის შუა რიცხვებში, ინფიცირების ასამდე შემთხვევა რომ გვქონდა, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დისტანციურზე გადასულიყვნენ სკოლები, როცა შემთხვევები სამასამდე გაიზარდა (და წინასწარი პროგნოზი ისეთია, რომ გადააჭარბებს ამ რაოდენობას), ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ გავხსნათ სკოლები. მაშინ რატომ დავაკარგინეთ 15 სექტემბრიდან დღემდე დრო მოსწავლეებს? თუ ის გადაწყვეტილება იყო სწორი, მაშინ დღეს რატომ ვხსნით სკოლებს? ვერანაირ ლოგიკას და თანმიმდევრულობას ვერ ვხედავ.

პრობლემა ის უფროა, რატომ არ იყვნენ 15 სექტემბრისთვის სკოლები და უმაღლესები მზად სამივე მოდელისთვის – პირისპირ სწავლებისთვის, შერეული სწავლებისთვის ან დისტანციური სწავლებისთვის. რა გავაკეთეთ ზაფხულში ამისთვის? რა გვიშლიდა ხელს, რომ სკოლები მოგვემზადებინა, რა გავაკეთეთ იმისთვის, რომ გაგვეზარდა ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე და კომპიუტერებზე; რა გავაკეთეთ იმისთვის, რომ მასწავლებელთა კომპეტენცია გაზრდილიყო, რა გავაკეთეთ ფილოსოფიური და პედაგოგიური მიდგომების შესაცვლელად დისტანციური სწავლების პირობებში. სად არის განათლების სამინისტროს პოზიცია, როცა, დაახლოებით, ათი ათას მოსწავლეს სჭირდება კომპიუტერი და ინტერნეტი ონლაინ სწავლებაში ჩასართავად?

ამის ნაცვლად, მთავრობამ 200-ლარიანი დახმარებები დაურიგა მოსწავლეებს, რაც ვიღაცისთვის მართლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ვიღაცისთვის აბსოლუტურად ზედმეტი, ნაყინებსა და ტანსაცმლის შეძენაში გამოიყენა. რატომ არ მიიღო განათლების სისტემამ საჭიროებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები? რატომ არ იზრუნა ზაფხულში გაზაფხულზე სწავლის მიღმა აღმოჩენილი მოსწავლეების დახმარებაზე? სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, განათლების სისტემას არაფერი გაუკეთებია, მხოლოდ იმ რეგულაციების შესრულება დაიწყო, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, შეუსრულებადია და რომელიც ჯანდაცვის სამინისტრომ დაავალა. არც აქ ჩანს განათლების სამინისტროს პოლიტიკა, რაც ძალიან სამწუხაროა.

– ბატონო შალვა, თქვენი აზრით, რა იყო განათლებაში ყველაზე დიდი ხარვეზი პანდემიის დროს, რაც სამინისტროს დაუყოვნებლივ უნდა გამოესწორებინა?

– ერთ-ერთი პრობლემა, რაც ბევრ ქვეყანაში გამოიკვეთა, მათ შორის საქართველოშიც, ინტერნეტზე და კომპიუტერებზე წვდომაა, მოსწავლეთა დიდ რაოდენობას არც ერთი და არც მეორე შესაძლებლობა სათანადოდ არ ჰქონდა. ერთმნიშვნელოვნად, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად არაფერი გაკეთებულა – არც ჩამორჩენის და არც უზრუნველყოფის კუთხით. პანდემიამ აჩვენა, რომ მასწავლებლებმა გადაუდებელ პირობებში კი ჩაატარეს (ნაწილმა ვერ შეძლო) თიმსის გაკვეთილები, თუმცა, ეს, პედაგოგიურად და ფილოსოფიურად, არ ყოფილა სწორი სწავლება. მეთოდები და მიდგომები კი არ შეცვალეს, რაც მოსწავლეებს ხარისხიან განათლებას მისცემდა დისტანციური სწავლების პირობებში, არამედ, უბრალოდ, კომუნიკაციის საშუალება გამოიცვალა. ზოგადად, მსოფლიოში უკვე მიდის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შეიცვალოს მასწავლებელთა მომზადების მიდგომები. შეიცვალოს როგორც მომავალი მასწავლებლის, ისე მოქმედის მომზადება/გადამზადების პროგრამები, რომ პედაგოგები სწავლების ყველანაირი მოდელისთვის იყვნენ მზად. ჩვენთან კი, ამაზე არავინ საუბრობს, არც უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც მასწავლებელთა განათლების პროგრამებს ახორციელებენ და არც მასწავლებლის სახლი, რომელიც მოქმედი მასწავლებლების გადამზადებას უზრუნველყოფს.

სერიოზული პრობლემა გამოიკვეთა ჩართულობის კუთხითაც. ჩემი მონაცემებით, უფრო მეტი ჩართულობა და ეფექტურობა იყო დაწყებით კლასებში, რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი – მოსწავლეთა ინტერესები იყო უფრო მაღალი დაწყებით კლასებში; მეორე – დაწყებითი კლასების მოსწავლეთა კომპიუტერული უზრუნველყოფაც იყო მაღალი, უმრავლესობას ბუკები ჰქონდა და მესამე – დაწყებითის მასწავლებელთა მზაობა იყო უფრო მაღალი, იმიტომ, რომ ისინი, სწორედ ბუკების პროგრამის ფარგლებში, მეტად მომზადებულები დახვდნენ პროცესებს. საშუალო და საბაზო საფეხურზე კი, დიდი ნაწილი სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. საშუალო საფეხურზე, სასწავლო პროცესი თითქმის ჩავარდა და, ხშირ შემთხვევაში, ფორმალური იყო, მათ შორის თიმსში რეგისტრაციაც და ა.შ. არც ამ მიმართულების გასაუმჯობესებლად გაკეთებულა რამე. ახლა, ფაქტობრივად, საშუალო და საბაზო საფეხური, დიდ ქალაქებში, დისტანციურ რეჟიმზე დარჩა და არავინ იცის, როდის გადავლენ საკლასო ოთახებში. ისევ ამ ჯგუფში გვაქვს ყველაზე დიდი ხარვეზი დისტანციურ სწავლებაში. სამწუხაროდ, ვერც ერთი ჩამოთვლილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად ვერ დავინახე კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

უმაღლესი განათლება

სტუდენტი მხოლოდ მსმენელი კი არა, პარტნიორიც უნდა იყოს

ახალი სასწავლო წელი უმაღლეს სასწავლებლებში ისევ დისტანციური სწავლებით დაიწყო. ამ კუთხით, გასულ სასწავლო წელს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში გარკვეული გამოცდილება უკვე დაგროვდა. რამდენად მოსახერხებელი და მისაღებია სწავლების ამგვარი ფორმა უმაღლეს სასწავლებლებში – გვესაუბრება ნათელა მაღლაკელიძე, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის განათლების სკოლის პროფესორი.

✓ გარკვეული პრობლემები შეიქმნა ცოდნის შეფასებისას.

✓ ძალიან ძნელია დისტანციურად იმის მონიტორინგი, სტუდენტმა თავად შეასრულა დავალება, თუ სხვა დაიხმარა.

– დისტანციური სწავლება ორი უარესობიდან შედარებით ნაკლები იყო. მხედველობაში მაქვს ის საფრთხეები, რომელთაც პანდემია უქმნის ჩვენს ქვეყანას. ეს ერთადერთი გამოსავალი გახლდათ შექმნილ სიტუაციაში.

თქვენს კითხვას კი სანამ ვუპასუხებდე, დავაკონკრეტებდი: რამდენად მოსახერხებელია, რომ მთელი სალექციო კურსი „ონ ლაინ“ წარიმართოს, თორემ სწავლების დისტანციურ ფორმას განსაზღვრულ შემთხვევებში ადრეც მივმართავდით. ილიას უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 2012 წლიდან გვაქვს ამის გამოცდილება. თითოეულ ლექტორს აქვს თავისი ვიდეოთეკა, სადაც თავმოყრილია ჩვენი სალექციო კურსების ვიდეოჩანაწერები. ამ ვიდეოჩანაწერებს წარსულშიც წარმატებით ვიყენებდით ცალკეულ შემთხვევებში ასინქრონული სწავლებისას. რაც შეეხება მთელი სალექციო კურსის წაყვანას დისტანციური ფორმით, ეს ჩვენთვისაც ახალი იყო და არ დავმალავ, მან გარკვეული სირთულეები მართლაც შეგვიქმნა.

– ხომ არ დაგვიკონკრეტებთ ამ სირთულეებს?

– ერთხელ კიდევ გავიმეორებ (ეს ჩემამდეც ალბათ ბევრმა რესპონდენტმა თქვა), რომ აუდიტორიასთან ცოცხალი კავშირი თავად პედაგოგისათვის, ამ შემთხვევაში ლექტორისათვის, არის აუცილებელი. სტუდენტებისაგან წამოსული მუხტი განაპირობებს სწორედ ლექციის ხარისხს. თუ სტუდენტი ინდიფერენტულია ლექციის მსვლელობისას, არ უსმენს, მაშინ ლექტორი წყვეტს გაბმულ თხრობას და უამრავ საშუალებას მიმართავს მის სალექციო პროცესში ჩასართავად. სწავლების ის უახლესი ტექნოლოგიები, რომლებსაც დღეს სკოლებში ვიყენებთ, ასევე წარმატებით გამოიყენება უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტის მოტივირებისა და სასწავლო პროცესის აქტივიზაციისათვის. ალბათ დამეთანხმებიან ჩემი კოლეგები – შეუძლებელია მხოლოდ სალექციო მეთოდით მიაღწიო მიზანს, ის დროდადრო საუბრით უნდა ჩანაცვლდეს, თუ გვსურს, რომ სტუდენტი მხოლოდ მსმენელი კი არა, არამედ ჩვენი პარტნიორიც იყოს სასწავლო პროცესში. განსაკუთრებით ეს ითქმის პედაგოგიური დარგის დისციპლინებზე.

– სხვა სირთულეები არ შეგხვედრიათ დისტანციური სწავლებისას?

– რამდენიც გინდათ. დავიწყოთ იმით, რომ მოუმზადებლები შევხვდით ვიდეო სწავლებას თუნდაც იმ კუთხით, რომ ყველა სტუდენტს არ ჰქონდა წვდომა ინტერნეტთან. მე პირადად უამრავი სტუდენტი მყავდა გასულ წელს, განსაკუთრებით პირველკურსელები, რომლებიც ვერ ახერხებდნენ სალექციო პროცესში ჩართვას იმის გამო, რომ არ ჰქონდათ ინტერნეტი, ან თუ ჰქონდათ, არ მყარდებოდა (ან ძალიან ცუდად მყარდებოდა) კავშირი მათთან. ეს ის საკითხია, რომელსაც უნივერსიტეტი ვერ გადაწყვეტს. ამის გარდა, გარკვეული პრობლემები შეიქმნა ცოდნის შეფასებისას. სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოვემზადეთ ამისათვის, ხარისხის სამსახურთან შეთანხმებით შევცვალეთ შეფასების ფორმები. მაგრამ დამეთანხმებით – ძალიან ძნელია დისტანციურად იმის მონიტორინგი, სტუდენტმა თავად შეასრულა დავალება, თუ სხვა დაიხმარა. გავითვალისწინოთ ისიც, რომ მათი დიდი ნაწილი არ რთავდა ვიდეოს, მხოლოდ ხმა ისმოდა. ასე რომ, ის შეფასებები, რომლებიც გასულ სემესტრში პირადად მე დავწერე, რამდენადმე პირობითია.

– გამოდის, რომ დისტანციურმა სწავლებამ ზოგიერთ სტუდენტს მეტი შანსი მისცა აკრძალული მეთოდების გამოსაყენებლად?

– რა თქმა უნდა, აქ მონიტორინგი სრულიად გამორიცხულია. უნდა მოვძებნოთ ცოდნის შეფასების ისეთი ფორმები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს, ვიყოთ მაქსიმალურად ობიექტურნი ასეთ პირობებში. საერთოდაც ვიტყოდი, რომ სწავლების მეთოდოლოგიის შეცვლა მოგვიწევს, რადგანაც ფორმატი: სტუდენტი+ლექტორი+აუდიტორია – შეიცვალა ფორმატით: სტუდენტი+ლექტორი+ZOOM (ჩემ შემთხვევაში). ფაქტია, რომ წელს უკვე გარკვეული გამოცდილება ამ კუთხით დაგვიგროვდა. ისიც ვთქვათ, რომ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველკურსელებისათვის, რომლებსაც მე პირველკლასელებს შევადარებდი. მათ ჯერ არა აქვთ სტუდენტური უნარები, ჩვენები კი სკოლიდან მოჰყვებათ და ხშირად თავი ისევ გაკვეთილზე ჰგონიათ, მასწავლებელთან. ვფიქრობდით, რომ მათთან მაინც ჩაგვეტარებინა სააუდიტორიო მეცადინეობა, მაგრამ გარკვეული მიზეზის გამო ჯერ ეს არ ხერხდება. ასე რომ, პირველკურსელები ცოტა გვეჩაგრებიან ამ თვალსაზრისით.

– პირველკურსელებთან დაკავშირებით მაინც რომელ შემთხვევას გაიხსენებდით თქვენი პრაქტიკიდან? დისტანციური სწავლება მაქვს მხედველობაში.

– დასამახსოვრებელი ბევრი რამ იყო: გათიშული ვიდეო გამოსახულება, ზოგჯერ ხმაც გათიშულია, ფიქსირდება, რომ სტუდენტი „გესწრება“, ისმენს ლექციას, ამ დროს ასე არ არის (შატალოზეა, ასე ვთქვათ); წყვეტილი ინტერნეტკავშირი, სხვისი დაწერილი დავალებები... მაგრამ არასოდეს დამავიწყდება ერთი შემთხვევა: სტუდენტი ეკრანზე ჩნდება ნიღბით, დამცავი ფარით, სახე საერთოდ არ უჩანს და ასე აღჭურვილი „მაბარებს“ ზეპირ გამოცდას.

იმედს ვიტოვებ, რომ მალე შევხვდებით ერთმანეთს აუდიტორიაში. ასე რომ, შეხვედრამდე!

ესაუბრა **ანა ფირცხალაიშვილი**

ПРОФЕСИУЛИ ГАНВИТАРЕБА

გარე დაკვირვება პირისპირ და ონლაინ ფორმატში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვების მსურველებისთვის გარე დაკვირვებაზე რეგისტრაცია გამოაცხადა. როგორც ცნობილია, 1500-მდე უფროს მასწავლებელს ჯერ კიდევ გაზაფხულზე უნდა გაევლო გარე დაკვირვება, თუმცა, პანდემიით შექმნილი მდგომარეობის გამო, მასწავლებელთა სახლმა პროცესი გადაავადა და მოამზადა ონლაინ დაკვირვების რუბრიკა, სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ ეპიდსიტუაციაზე დამოკიდებული სასწავლო პროცესი აღარ იძცეს ისევ გარე დაკვირვების გადადების მიზეზად.

რატომ გახდა თავიდან რეგისტრაცია საჭირო, როგორი ფორმით წარიმართება გარე დაკვირვების პროცესი და რისი გათვალისწინება მოუწევთ ონლაინ რეჟიმში დაკვირვებისას მასწავლებლებს – ამ დეტალებზე გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა რატიანი.

– 1 ოქტომბრიდან გარე დაკვირებაზე რეგისტრაცია იწყება და დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, მასწავლებლები შეძლებენ წამყვანის სტატუსის მოსაპოვებლად აუცილებელი აქტივობის განხორციელებას. ცნობილია ისიც, რომ მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ, გარე დაკვირვება ონლაინ რეჟიმშიც გაიარონ, როგორ წარიმართება ეს პროცესები?

– იმ პერიოდში, როცა სისტემა ონლაინ სწავლებაზე გადავიდა, გარე დაკვირვება გადაიდო. რადგან სასწავლო პროცესი პანდემიაზე გახდა დამოკიდებული, მივხვდით, რომ შეიძლება პრობლემა შემოდგომაზეც გაგრძელებულიყო, ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვექმნა ონლაინ გარე დაკვირვების რუბრიკა, რომელსაც პარალელურ რეჟიმში დავტესტავდით სკოლებში. მაისის დასაწყისში 12 სკოლას ვთხოვეთ რუბრიკის აპრობაციის პროცესში ჩართვა (შევარჩიეთ რეგიონის, ქალაქის, სოფლის, არაქართულენოვანი, მცირეკონტინგენტიანი და მაღალკონტინგენტიანი სკოლები). უშუალოდ დირექტორები იყვნენ ამ პროცესში ჩართულები. თავდაპირველად მასწავლებლები, რომელთაც ვაკვირდებოდით, არ იცნობდნენ რუბრიკის კრიტერიუმებს, უბრალოდ იცოდნენ, რომ აკვირდებოდნენ გაკვეთილზე. ამის შემდეგ, მათ გავაცანით კრიტერიუმები და ისე დავაკვირდით. დირექტორებს ვთხოვეთ, ჩვენთვის მოეწოდებინათ სწორედ ამ კრიტერიუმებთან დაკავშირებული უკუკავშირი, რაც მასწავლებლებისგან მიიღეს. შემდეგ, სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ძალიან ბევრი რამ შეიცვალა მუშაობის პროცესში, დაიხვეწა და სკოლებში მიმდინარე პროცესს მოერგო. ტესტირებამ აჩვენა, რომ შესაძლებელია ონლაინ გარე დაკვირვებით შეგვეფასებინა მასწავლებლები. მას შემდეგ, რაც კანონში ცვლილება შევიდა და დისტანციური სწავლების ფორმა აღიარდა, შესაძლებელი გახდა, დაგვემტკიცებინა ონლაინ გარე დაკვირების რუბრიკა და ფორმალურადაც შესაძლებლია, უკვე კანონიერად გამოვიყენოთ რუბრიკა. ამდენად, გარე დაკვირვება აღარ გადაიდება და ამ სემესტრისთვის უკვე მზად ვართ, იმ სკოლებში, სადაც სასწავლო პროცესი დისტანციურად წარიმართება, მასწავლებლებს ონლაინ რეჟიმში დავაკვირდეთ. მასწავლებლები, რომლებიც 1-დან 5 ოქტომბრამდე გაივლიან რეგისტრაციას და გრაფიკის მიხედვით გამოგვიგზავნიან 5 თანმიმდევრულ გაკვეთილის გეგმას (როგორც აქამდე ხდებოდა, ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა), ონლაინ რეჟიმში დავიწყებთ რუბრიკას, მაგრამ იმ სკოლებში, სადაც სწავლა პირისპირ შენარჩუნდება, ცხადია, პედაგოგებს საკლასო ოთახში დავაკვირდებით. პროცესი მთელი სემესტრის განმავლობაში გაგრძელდება და როგორც გითხარით, იმის მიხედვით ვიმოქმედებთ, რა სიტუაციაც იქნება კონკრეტულ სკოლაში.

– არიან თუ არა მზად სკოლები ონლაინ დაკვირვებისთვის, რას ფიქრობთ, რა დაბრკოლებები შეიძლება შეექმნათ მათ? თუ გაქვთ კონტაქტი მასწავლებლებთან და, ძირითადად, რაზე ღელავენ?

– რა თქმა უნდა, ჩვენთან კავშირი აქვთ მასწავლებლებს და ვეცნობით მათ საჭიროებებს. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ პირველი ოქტომრიდან დავიწყოთ ყველა საჯარო სკოლის პედაგოგის გადამზადება (ძალიან მოკლე ვადაში, ორ-სამ კვირაში) თიმსის გამოყენებაში. შესაბამისად, ესეც ერთგვარი დახმარება იქნება მათთვის. კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ეს არ ეხება მხოლოდ გარე დაკვირვებაზე დარეგისტრირებულ მასწავლებლებს, გადავამზადებთ ყველა იმ ქალაქისა და სოფლის მასწავლებელს, სადაც ონლაინ სწავლება მიმდინარეობს.

– რა განსხვავებაა ონლაინ და პირისპირ დაკვირვების რუბრიკებს შორის და რა ძირითადი აქცენტები გაკეთდება ონლაინ დაკვირვებისას?

– გაკვეთილის დაგეგმვა, ორივე შემთხვევაში, ერთი და იგივე იქნება – გაკვეთილი დაიგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანთან მიმართებით, უბრალოდ, განსხვავებული იქნება განხორციელების ფორმატი. მასწავლებლები ხშირად ნერვიულობენ და ჩივიან იმაზე, რომ გაკვეთილის პროცესში, შეიძლება, ტექნიკურმა ხარვეზებმა იჩინოს თავი. მინდა ისინი დავამშვიდო და კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ასეთი პრობლემები მათ შეფასებაზე არ აისახება. მთავარია, დავინახოთ როგორ რეაგირებს ასეთ შემთხვევებზე მასწავლებელი, როგორ იქცევა, მაგალითად, ინტერნეტის ხარვეზის გამო საგაკვეთილო პროცესიდან გათიშულ და შემდეგ უკან დაბრუნებულ მოსწავლესთან, როგორ აწვდის მას ტექნიკური ხარვეზის გამო გამოტოვებულ ინფორმაციას. ყურადღება მიექცევა იმასაც, თუ მასწავლებელი, ტექნიკური ხარვეზის გამო, გაკვეთილის პროცესიდან გავიდა და ხელახლა დაბრუნდა, ამ შემთხვევაში, მოსწავლეებმა იციან თუ არა როგორ მოიქცნენ – მასწავლებელს დაელოდონ თუ არა ან თუ დავალება უკვე აქვთ მიცემული, აგრძელებენ თუ არა მუშაობას. აქ საუბარია იმაზე, რამდენად არის ბავშვი ინფორმირებული ონლაინ ფორმატში მუშაობის პროცესის შესახებ ისევე, როგორც საკლასო ოთახში მიმდინარე სასწავლო პროცესის დროს, ზუსტად ანალოგიურად შეფასდება ეს ყველაფერი. ასე რომ, ტექნიკური ხარვეზის ან იმის გამო, რომ მოსწავლე მობილურით არის გაკვეთილზე შემოსული და არა კომპიუტერით, მათ შეფასებას ქულა არ დააკლდება, ეს გამორიცხულია მთავარია, დავინახოთ, როგორ ახერხებს მასწავლებელი დასახული მიზნის მიღწევას და რამდენად ადეკვატურ სტრატეგიებს იყენებს ონლაინ სწავლებისათვის, როგორ ახერხებს მოსწავლეებთან ინტერაქციას. დავაკვირდებით იმასაც, თუ როგორ არის მოსწავლის პერსონალური ინფორმაცია დაცული და ა.შ. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად სანდო წყაროებს იყენებს მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში (ძირითადად, მასწავლებლები ონლაინ ფორმატში იყენებენ სხვადასხვა ღია რესურსებს და ყურადღება უნდა მიექცეს, რამდენად სანდოა ეს რესურსები, რამდენად არის დაცული კიბერუსაფრთხოება). აქედან გამომდინარე, ნამდვილად ღირს უფრო მეტი აქცენტის გადატანა უსაფრთხოებასა და ინფორმაციის სანდოობაზე და იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურია პედაგოგის მიერ ონლაინ სწავლებისას გამოყენებული სტრატეგიები.

– დაახლოებით 1500 მასწავლებელი ელოდება გარე დაკვირვებას, რატომ გახდა აუცილებელი მათი თავიდან რეგისტრაცია, ისინი ხომ ზუსტად იგივე მასწავლებლები არიან, რომლებმაც გაზაფხულზე, პანდემიით შექმნილი ვითარების გამო, ვერ გაიარეს გარე დაკვირვება?

– რა თქმა უნდა, იგივე მასწავლებლები არიან, მაგრამ სემესტრია განსხვავებული და შესაძლებელია მასწავლებელს, რომელსაც განსაზღვრული ჰქონდა გარე დაკვირვება მე-7 კლასში, ის მეშვიდე კლასს აღარ ასწავლიდეს – ბავშვები უკვე გაიზარდნენ და მერვეკლასელები გახდნენ, ანუ შეიცვალა კლასები, შეიცვალა მასწავლებლის საათობრივი ბადე და ამიტომ რეგისტრაციის თავიდან გავლაც გარდაუვალი გახდა.

– დაბოლოს, როგორ მოხდება სტატუსის მინიჭება – ეტაპობრივად თუ ერთდროულად? ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მასწავლებლისთვის, რადგან სტატუსის დანამატი სწორედ ამის შემდეგ აისახება მათ ანაზღაურებაზე.

– სტატუსს მათ ეტაპობრივად არ მივანიჭებთ. სემესტრის ბოლოს, ვინც წარმატებით გაივლის გარე დაკვირვების რუბრიკას, ყველა ერთიანად მიიღებს წამყვანი მასწავლებლის სტატუსს.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

გთავაზობთ გარე დაკვირვების გაკვეთილის ნიმუშს

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი, გვარი: ხათუნა ჩხეტიანი
საგანი: ისტორია
სწავლებლის საფეხური/კლასი: საბაზო. მეცხრე კლასი (IX2)
მოსწავლეთა რაოდენობა: 28
გაკვეთილის თემა: ბრძოლა მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ (ქვეთავები: დემეტრე თავდადებული. სახალხო აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ XIII საუკუნის ბოლოს. მონღოლთა ბატონობის შედეგები)
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გაეცნონ ავტორისეულ ტექსტს და წყაროებს დემეტრე თავდადებულის, დავით VIII-ის აჯანყების, მონღოლთა ბატონობის შედეგების შესახებ, იმსჯელონ დემეტრე II-ის პოლიტიკური არჩევნის ირგვლივ, შეაფასონ დავით VIII-ის აჯანყება და მონღოლთა ბატონობის შედეგები საქართველოში.

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

ისტ. IX. 2. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს სხვადასხვა ისტორიული ეპოქის საქართველოში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

➪ წერილობითი სახით შეუძლია ჩამოაყალიბოს თავისი თვალსაზრისი საქართველოს ეკონომიკაში უცხო ქვეყნის მმართველობით გამოწვეული დადებითი და უარყოფითი ცვლილებების შესახებ;

ისტ.IX.3. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს ქართული სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურები.

➪ მსჯელობს სხვადასხვა ეპოქის ქართული სამეფოების სახელმწიფო მოწყობის შესახებ. გამოავლენს მათ შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს;

ისტ.IX.4. მოსწავლეს შეუძლია საქართველოში სოციალური ურთიერთობების ისტორიის კვლევა.

➪ მსჯელობს საქართველოში ურბანიზაციათა და მიგრაციის სხვა სახეობით გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე. ადარებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მათ მიზეზებსა და შედეგებს.

ისტ.IX.5. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს საგარეო და საშინაო ფაქტორების გავლენა ქართული სახელმწიფოს წარმოშობასა და განვითარებაზე.

➪ მსჯელობს კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ ცვლილებებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინა ქართულ სახელმწიფოებრიობაზე;

➪ აანალიზებს და ადარებს საგარეო ფაქტორების გავლენას ქვეყნის შიდა კონფლიქტებზე.

№	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილება სასწავლო მიზანთან მიმართებით)	დრო (წთ)
1	**საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგება** **მიზანი:** მოსწავლეებში ხელი შეეწყოს ორგანიზებულობის უნარს, მოხდეს კლასის ყურადღების კონცენტრირება. **აღწერა:** მასწავლებელი ესალმება კლასს, აღრიცხავს დასწრებას, მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას, მიზნებსა და შეფასების რუბრიკებს სწავლის პროცესის სწორად წარმართვისათვის, მოსწავლეთა მაღალი ჩართულობისა და მათი ობიექტური შეფასებისათვის, პარალელურად, ურიგებს შესაბამის თაბახის ფურცლებზე დაბეჭდილ სქემებს, მიუთითებს ლოკაციის ადგილს ზოგადად შეფასების რუბრიკებისადმი.	ვერბალური, ვიზუალური	საერთო საკლასო	საკლასო ჟურნალი, შეფასების რუბრიკები (ამობეჭდილი და წარმოდგენილი ფლიფჩარტზეც), პროექტორი, ლეპტოპი	3წთ
2	**საშინაო დავალების ანალიზი/წინარე ცოდნის გააქტიურება** **მიზანი:** თემატური გამოწვევა/მოტივაციის აღძვრა, საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება, სააზროვნო უნარ-ჩვევების გამომუშავება ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით. **აღწერა:** მასწავლებელი აანალიზებს საშინაო დავალებას. მოსწავლეებს მიცემული აქვთ საშინაო დავალება –	ვერბალური, წერილობითი	ინდივიდუალური	თაბახის ფურცლები, ფლიფჩარტი, მსოფლიო პოლიტიკური რუკა	8წთ

პროფესიული განვითარება

	წერილობით აღწერონ საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა მონღოლთა მიერ ქვეყნის აღწერისა და ახალი გადასახადების შემოღების შემდეგ, იმსჯელონ მონღოლთა მმართველობით გამოწვეულ ცვლილებებზე საქართველოს ეკონომიკაში. ერთ-ერთი მოსწავლე აკეთებს ნაშრომის პრეზენტაციას, მასწავლებელი აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს, შემდეგ მასწავლებელი მიმართავს კლასს, ხომ არ აქვს ვინმეს განსხვავებული რაიმე თავის ნაშრომში? დაამატოს, ჩამოაყალიბოს, იმსჯელოს. მოსწავლეთა დანარჩენ ნაწილს კი ეუბნება, რომ შეამოწმებს ყველას ნაშრომს ინდივიდუალურად. შემდეგ მასწავლებელი გაკვეთილს გამოიკითხავს ბლუმის ტაქსონომიით გათვალისწინებული შედგენილი კითხვებით.				
3	**შესაბამისობის დადგენა** **მიზანი:** მოსწავლეებმა დაადგინონ შესაბამისობა სხვადასხვა ეროვნების მემატიანეებს და მათ სამშობლოს შორის. **აღწერა:** მასწავლებელს წინასწარ ფლიფჩარტზე აქვს ჩამოწერილი ისტორიკოსები სხვადასხვა ქვეყნიდან, გვერდით არეულად მითითებულია ქვეყნები. მოსწავლეებს ევალებათ, გაიხსენონ რომელი ქვეყნიდანაა თითოეული მათგანი და შეუსაბამონ ამა თუ იმ სახელმწიფოს. ერთ-ერთი, ნებისმიერი მოსწავლე, გამოდის და აკავშირებს მემატიანეებს მათ სამშობლოსთან.	შესაბამისობის პოვნა	საერთო საკლასო	ფლიფჩარტი, მარკერი	2წთ
4	**ფილმის ჩვენება** **მიზანი:** მოსწავლეთა ბუნებრივი ინტერესის სტიმულირება, მამოტივირებელი გარემოს შექმნა. **აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფილმს, როგორც ვიზუალურ მასალას საკითხის უკეთ გასააზრებლად, ხოლო ფილმის დასრულების შემდეგ, აძლევს მათ წერილობით წყაროებს, თემის გასაანალიზებლად.	ვიზუალური	ჯგუფური	პროექტორი, ლეპტოპი	3წთ
5	**ჯგუფური მუშაობა** **მიზანი:** ვიზუალურ-სივრცითი უნარებისა და ლოგიკური აზროვნების განვითარების, გუნდურობის, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა და აზრთა გაზიარება **აღწერა:** მასწავლებელი ჯგუფებს აძლევს დეტალურ ინსტრუქციას, სასწავლო რესურსების, ავტორისეული ტექსტისა და წყაროების დახმარებით, შესასრულებელი დავალებების შესახებ. მასწავლებელი მოსწავლეთა ოთხ ჯგუფს ურიგებს სასწავლო რესურსებს და მიუთითებს მათ, კონკრეტულად რაზე უნდა იმუშაონ ჯგუფებში. **I ჯგ. – დემეტრე თავდადებული** სახელმძღვანელოს ტექსტის (გვ.206-207) და წყარო 3-ის (გვ.210) გამოყენებით, ისაუბრეთ იმ სირთულეებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დემეტრე II-ს მეფობის დროს. **II ჯგ. – დოკუმენტის ანალიზი** „ქართლის ცხოვრება“ დემეტრე თავდადებულის შესახებ და აბრაამ კათალიკოსი დემეტრე მეფის გადაწყვეტილების შესახებ. შეაფასეთ, დემეტრე II-სა და აბრაამ კათალიკოსის სიტყვები, რა როლი ითამაშა დემეტრეს სიკვდილით დასჯაში ყუთლუ-ბუღამ? **III ჯგ. – სახალხო აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ XIII საუკუნის ბოლოს** ავტორისეული ტექსტის (გვ.207-208) საფუძველზე, განსაზღვრეთ: რა ხერხს მიმართეს მონღოლებმა აჯანყებული დავით VIII-ის წინააღმდეგ? რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ აჯანყებას უცხო ძალის ბატონობის წინააღმდეგ? **IVჯგ. – მონღოლთა ბატონობის შედეგები** ავტორისეული ტექსტის (გვ.208-209) საფუძველზე, იმსჯელეთ: რა შედეგები მოუტანა მონღოლთა ბატონობამ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით?	დაჯგუფდი, დაფიქრდი, გაუზიარე	ჯგუფური	ფლიფჩარტი, მარკერი, მოსწავლის წიგნი, წყაროები	8წთ
6	**ჯგუფური მუშაობის პრეზენტაციები** **მიზანი:** საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების განვითარება **აღწერა:** მოსწავლეები წარმართავენ პრეზენტაციებს. პრეზენტატორი შერჩეულია ჯგუფის წევრების მიერ, თანასწორობის პრინციპით.	პრეზენტაცია	ინდივიდუალური	ფლიფჩარტი, მსოფლიო რუკა	8წთ
7	**მინი-დისკუსია ჯგუფებში** **მიზანი:** ცოდნის სისტემატიზაცია, გამთლიანება, სინთეზი წინარე ცოდნასა და ახალ მასალას შორის, დედუქციური უნარების განვითარება. **აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს სადისკუსიო კითხვას: რამდენად მართებული იყო დემეტრე მეორის პოლიტიკური არჩევანი, ანუ გადაწყვეტილება მონღოლი ყაენის კარზე წასვლასთან დაკავშირებით?მასწავლებელი ისმენს მოსწავლეთა მოსაზრებებს და ახერხებს მათი აზრების მიყვანას საერთო კონსესუსამდე.	დისკუსია	საერთო, საკლასო	ფლიფჩარტი, ლეპტოპი	4წთ
8	**მოსწავლეთა შეფასება** **მიზანი:** მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა.განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიცემა, ასევე მოსწავლეები აფასებენ საკუთარ თავს თვითშეფასების რუბრიკის საფუძველზე (იხ.დანართები1,2). **აღწერა:** მასწავლებელი აფასებს რამდენიმე მოსწავლეს უკვე დარიგებული შეფასების სქემების მიხედვით, ასევე მოსწავლეები აფასებენ საკუთარ თავს თვითშეფასების რუბრიკის საფუძველზე.	ვერბალური	საერთო, საკლასო	შეფასების სქემები, მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკა	3წთ
9	**საშინაო დავალების მიცემა** **მიზანი:** მოსწავლეებმა ყურადღებით ჩაინიშნონ საშინაო დავალება, განამტკიცონ მიღებული ცოდნა. **აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს წერილობით დავალებას: მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია დემეტრე მეფესა და მის მემკვიდრეებზე, ნაშრომში იმსჯელონ დემეტრე მეორის პიროვნების ირგვლივ.	ვერბალური, წერილობითი	საერთო, საკლასო	მოსწავლის წიგნი, დამატებითი ლიტერატურა, ინტერნეტმასალა	1წთ

გაკვეთილის გოლოს მისაღწევი შედეგები:

- წერილობითი სახით შეუძლია ჩამოაყალიბოს თავისი თვალსაზრისი საქართველოს ეკონომიკაში უცხო ქვეყნის მმართველობით გამოწვეული დადებითი და უარყოფითი ცვლილებების შესახებ;
- მსჯელობს კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ ცვლილებებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინა ქართულ სახელმწიფოებრიობაზე;
- აანალიზებს და ადარებს საგარეო ფაქტორების გავლენას ქვეყნის შიდა კონფლიქტებზე.

შეფასება: განმავითარებელი, განმსაზღვრელი

დანართი1 **პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა**

რუბრიკები	**ძალიან კარგი**	**კარგი**	**საშუალო**	**საჭიროებს დახმარებას**
საკითხის წარდგენა	საკითხს წარმოადგენს სრულად და დამაჯერებლად.	საკითხს წარმოადგენს კარგად.	წარმოდგენილი საკითხი საჭიროებს დახვეწას, დაზუსტებას.	წარმოდგენილი საკითხი ბუნდოვანია, დაუსრულებელი და გაუგებარი.
აუდიტორიის ფლობა	ფლობს აუდიტორიას, იყენებს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ხერხებს.	ფლობს აუდიტორიას, ზოგჯერ იყენებს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ხერხებს. ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან, თუმცა მისი საუბარი მოსაწყენი და მონოტონურია.	უჭირს საუბარი აუდიტორიასთან, პასიურია.	
რესურსის მიზნობრივად გამოყენება	მიზნობრივად ქმნის და/ან იყენებს რესურსს.	საჭიროებისამებრ იყენებს რესურსს.	ნაკლებად იყენებს რესურსს.	ვერ ახერხებს რესურსის მიზნობრივად გამოყენებას.

დანართი 2. **დისკუსიის რუბრიკა**

	1-4 ქულა	5-7 ქულა	8-10 ქულა
მოსმენა	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს.	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს.	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს.
საუბარი	ვერ მეტყველებს მკაფიოდ, აუდიტორიას უჭირს საუბრის გაგება.	მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელებს.	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს.
არავერბალური კომუნიკაცია	იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კომუნიკაცია.	ეფექტურად აღიქვამს და იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.
მონაწილეობა	ვერ გამოხატავს და ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას.	კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო, ხშირია თემიდან გადახვევა.	უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტირებითა და აზრების გამოთქმით.
კოოპერაცია	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს.	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ხანდახან ერთვება სხვის საუბარში, იცავს დისკუსიის წესებს.	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს.
მოსაზრების არგუმენტირება	მოსწავლის მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით.	მოსწავლე, მოსაზრების გასამყარებლად, იყენებს სადავო ფაქტებსა და ცნებებს.	მოსწავლის მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებითა და ცნებებით, არის ლოგიკური კავშირი საკითხთან მიმართებაში.



ხათუნა ჩხეტიანი
ქუთაისის №17 საჯარო სკოლის ისტორიის წამყვანი მასწავლებელი

ახალი სკოლის მოდელი

სწორი ხედვა სკოლის განვითარებისთვის

მერაბ მიგინეიშვილი
აბაშის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი:

2020-2021 სასწავლო წელი განსაკუთრებულად გამორჩეულია, რადგან ის იწყება მაშინ, როცა მსოფლიო კორონავირუსის უდიდეს გამოწვევას ებრძვის. ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში, ზაფხულის არდადეგების პერიოდშივე, დაიწყო ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება, ახალი საპირფარეშოების მშენებლობა. სამინისტროს მიერ განხორციელებული შესყიდვებით, სკოლები დროულად მომარაგდა დეზობარიერებით, სადეზინფექციო ხსნარებით, თერმოსკრინინგის აპარატებით. ყველა საჯარო სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში აკმაყოფილებდა ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს და მათზე გაიცა სკოლის საკლასო ოთახებში სწავლის დაწყების ნებართვა. სკოლების მიერ შემუშავდა საგანგებო სიტუაციაში მოქმედების გეგმა, გამოიყო სხვადასხვა პროცედურებზე პასუხისმგებელი პირები და შემუშავდა ამ პროცესში მშობელთა ინფორმირებისა და მათი ჩართულობის მექანიზმები.

> *მისასალმებელია, რომ საგნობრივი ექსპერტები იმუშავებენ არა მარტო პროექტში ჩართულ სკოლებთან, არამედ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სკოლებთანაც, რითაც მოამზადებენ საფუძველს პროექტის დასანერგად, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართულ სკოლების რაოდენობა.*

მოგეხსენებათ, ამჟამად სკოლებში ხორციელდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი გამოხატულებაა „ახალი სკოლის მოდელი“. აღნიშნულ პროექტში, 2019 წლიდან, ჩართულია აბაშის №1 საჯარო სკოლა. პროექტის განხორციელების პერიოდში საგანმანათლებლო რესურსცენტრი აქტიურად უწევდა სკოლას თანადგომას საორგანიზაციო საკითხების ოპერატიულად და დროულად გადაწყვეტაში. პროექტის დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლის პედაგოგები, სწავლა-სწავლების პროცესში, უფრო მეტად კონტაქტობდნენ კოლეგებთან, მოსწავლეებთან, ადმინისტრაციასთან, თემთან, მშობლებთან. მართალია, „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტი დაწყებით საფეხურზე ხორციელდებოდა, მაგრამ მაღალი კლასების პედაგოგები, საკუთარი სურვილით, იყენებდნენ ახლებურ მიდგომებს და საინტერესო შედეგებსაც აღწევდნენ. მთელი საპილოტე პერიოდის განმავლობაში მოდელი ხორციელდებოდა კურიკულუმის და ლიდერობის ექსპერტების ჩართულობით. მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის, ასევე, განსაკუთრებით საინტერესო იყო ტექნოლოგიების ექსპერტის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტები, რომელმაც სკოლას საშუალება მისცა, გასული სასწავლო წლის მეორე სემესტრში, უმტკივნეულოდ გადასულიყო დისტანციურ სწავლებაზე. მოსწავლეებს და მასწავლებლებს კი, შესაძლებლობა მიეცათ ჩართულიყვნენ ონლაინ რეჟიმის შესაბამის პლატფორმებში და ორგანიზებულად წარემართათ სასწავლო პროცესი, მეტი კომუნიკაცია ჰქონოდათ მოსწავლეთა მშობლებთან.

პროექტი „ახალი სკოლი მოდელი“ დღესაც გრძელდება, სკოლები უკვე რეალურად მუშაობენ ისეთ სიახლეებზე, როგორიცაა სასკოლო კურიკულუმების შედგენა, კომპლექსური დავალებები. საგანმანათლებლო რესურსცენტრი და საჯარო სკოლები დღე-დღეზე ველოდებით საგნობრივ ექსპერტებს, რომლებიც დაწყებით და საბაზო საფეხურზე, ყოველდღიურად, დაეხმარებიან სკოლებს სასკოლო კურიკულუმის შედგენაში, დანერგვასა და მიმდინარეობის პროცესების გაანალიზებაში. მისასალმებელია, რომ საგნობრივი ექსპერტები იმუშავებენ არა მარტო პროექტში ჩართულ სკოლებთან, არამედ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სკოლებთანაც, რითაც მოამზადებენ საფუძველს პროექტის დასანერგად, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართულ სკოლების რაოდენობა.

დოდო დოლიძე
აბაშის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლის დირექტორი:

ჩვენს სკოლაში „ახალი სკოლის მოდელი“, 2019 წელს, I-IV კლასებში დაინერგა და 4 პროექტი სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდა. „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, სასკოლო ცხოვრებაში გაჩნდა ახალი რგოლი – მხარდამჭერთა ჯგუფი, რომელიც პედაგოგებს, სკოლის ბაზაზე, რამდენიმე მიმართულებით უწევდა კონსულტაციას – სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვა, სკოლის მართვის ეფექტური მიდგომის განვითარება, სწავლის პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება. „ახალი სკოლის მოდელის“ დანერგვის შემდეგ სკოლა გახდა, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზაცია. მხარდამჭერი ჯგუფის ჩართულობით, სკოლაში შეიქმნა სასკოლო სასწავლო გეგმა (კურიკულუმი) I-IV კლასების ყველა საგნისათვის. დაწყებითი კლასების პედაგოგებს საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ კომპლექსური დავალებების შექმნის, რომელსაც საბაზო საფეხურის პედაგოგებს უზიარებენ. კომპლექსურმა დავალებებმა სასწავლო ფერხულში ჩააბა ყველა მოსწავლე, რამაც გაზარდა მათი მოტივაცია და გაკვეთილები სახალისო გახადა. 2020-2021 სასწავლო წელს, ჩვენი სკოლა „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში მუშაობას საბაზო საფეხურზე განაგრძობს. შერჩეული არიან პედაგოგები საგნების მიხედვით, რომლებიც ონლაინ რეჟიმში დაესწრებიან მეგზურების ტრენინგებს და შემდეგ ინფორმაციასა და რეკომენდაციებს კათედრის წევრებს გააცნობენ.

ჩვენი სკოლა სწავლის დაწყებისთვის სათანადოდ მომზადებული აღმოჩნდა. მაქსიმალურადაა დაცული სოციალური დისტანცია როგორც დასვენებაზე, ისე სწავლის პროცესში. სკოლამ ახალი სასწავლო წელი ოფიციალურად შემუშავებული რეკომენდაციების დაცვით დაიწყო. სწავლის დაწყებამდე, სკოლაში შემოვიტანეთ თერმოსკრინინგის აპარატები, სადეზინფექციო ხსნარები, დეზობარიერები. სასწავლო პროცესი ისე დაიგეგმა, რომ მცირე სივრცეში, ერთდროულად, ბევრი მოსწავლე არ ყოფილიყო. გადავედით ორცვლიან სწავლებაზე. დაწყებითი კლასის მოსწავლეები (I-IV) და დამამთავრებელი კლასები (XII) პირველ ცვლაში არიან, ხოლო დანარჩენი კლასები – მეორე ცვლაში. სკოლაში დაცულია ყველა სახის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმა.

ქეთევან შეყრილაძე
თერჯოლის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი:

პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ არა მარტო ახალია, არამედ არის სწორი ხედვა სკოლის განვითარებისთვის. მოხარული ვარ, რომ მართალია მცირე ხნით, მაგრამ მეც ვიყავი ამ პროექტის აქტიური მონაწილე – ლიდერობის ექსპერტი. „ახალი სკოლის მოდელი“ პასუხს სცემს ისეთ მნიშვნელოვან კითხვებს, როგორიცაა – რას ვასწავლით (საგნებს, საკითხებს, თემებს), რისთვის ვასწავლით (მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისათვის) და როგორ ვასწავლით (კეთებით, კომპლექსური დავალებებით), რადგან ჩინური ანდაზისა არ იყოს – „მითხარი და დამავიწყდება, მაჩვენე და დავიმახსოვრებ, გამაკეთებინე და გავიგებ“ – ყველაზე შედეგიანი სწორედ კეთებით სწავლებაა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში გაორმაგდა პროექტში ჩართული სკოლების რიცხვი, ორს კიდევ ორი დაემატა, სადაც სამუშაო ჯგუფები ამ მიმართულებით იმუშავებენ. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, გვექნება ონლაინ შეხვედრები კვირაში 3-ჯერ, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, იქნება ინდივიდუალური ან ჯგუფური შეხვედრები სკოლებთან.

რუსუდან უსუფაშვილი
თერჯოლის მუნიციპალიტეტის №2 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

სასკოლო კურიკულუმის გასავითარებლად, სკოლა მოზარდების შემეცნებითი და შემოქმედებითი ასპარეზი უნდა გახდეს. „ახალი სკოლის მოდელის“ მიხედვით, სწორედ ეს ორი მიზანი განხორციელდა: ამაღლდა სწავლა-სწავლების ხარისხი და შეიქმნა ისეთი გარემო, სადაც კარგი მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად მეტი შესაძლებლობაა. გარდა ამისა, მოგვეცა „კეთებით“ სწავლის საუკეთესო საშუალება.

„ახალი სკოლის მოდელმა“ აქცენტი მასწავლებლების მხარდაჭერასა და დახმარებაზე გადაიტანა, ზოგადად, პროექტი მიმართულია სკოლის, როგორც ერთიანი გუნდის, განვითარებაზე.

სკოლისთვის შეთავაზებული დოკუმენტები სწავლა-სწავლების, რესურსების, მეთოდების, სტრატეგიებისა და შეფასებების დეტალურ და გასაგებ ინსტრუქციებს მოიცავდა. კარგი შედეგი მოგვცა კომპლექსური დავალებების ბანკმა, რომელიც საკლასო ოთახში რეალიზდება. ამასთან, პედაგოგების თანადგომით, მოხერხდა სასწავლო პროცესის მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსებით გამდიდრება.

კობა ბარდაველიძე
თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩხარის №1 საჯარო სკოლის დირექტორი:

2019-2020 სასწავლო წელს ჩხარის საჯარო სკოლაში წარმატებით დაინერგა „ახალი სკოლის მოდელი“. ქოუჩებთან პირველივე შეხვედრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პროექტი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მისი წინამორბედებისგან – მეტად იყო ორიენტირებული კონკრეტული სკოლის საჭიროებებზე. შესაბამისად, ტრენინგთა სერიის ნაცვლად, ჩვენ მივიღეთ პროფესიონალიზმით გამორჩეული ექსპერტთა მხარდამჭერი ჯგუფი: ლიდერობის ექსპერტი ქეთევან შეყრილაძე, კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების ექსპერტი სოფო სიუკაევა, კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების ექსპერტის თანაშემწე შორენა გვენეტაძე და ექსპერტი ტექნოლოგიების მიმართულებით თეა დოლაკიძე.

თანამშრომლობის პირველ ეტაპზე განისაზღვრა სკოლის ინდივიდუალური პროფილი, მხარდამჭერთა ჯგუფთან ერთად განისაზღვრა და შეფასდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. რეალური სურათის დანახვის შემდეგ, დავიწყეთ კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად. შევქმენით სასკოლო კურიკულუმები, რომლის ძირითადი ორიენტირი მოსწავლე იყო. საგანმანათლებლო სერვისი, რომელსაც კურიკულუმების მეშვეობით ვთავაზობთ მოსწავლეებს, მათ ინტერესებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული. რეფორმის ფარგლებში, ვითვალისწინებთ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს:

აქტიური სწავლა-სწავლება – მიღებული ინფორმაცია ცოდნად გადაიქცევა, როცა მოსწავლე თავადაა ჩართული შემოქმედებით პროცესში. კომპლექსური დავალებები საშუალებას გვაძლევს, მოსწავლემ ახალი ცოდნა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მიიღოს;

ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება – მოსწავლეთა გონებაში ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბება, რაც მას ცოდნის გამთლიანებაში ეხმარება;

სწავლის სწავლა – იმ სტრატეგიების გაცნობიერება, რომლებსაც მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში იყენებს. სასკოლო კურიკულუმზე მუშაობა საკმაოდ ეფექტურად და ნაყოფიერად წარიმართა ჩვენი სკოლის პედაგოგებისთვისაც, თითქოს ყველაფერი კარგად ნაცნობია, მეთოდებიც მრავალჯერ ნაცადი, თუმცა მათი გამოყენების შესაძლებლობა გაკვეთილზე ახალი კუთხითაა დანახული.

მხარდამჭერთა ჯგუფის ექსპერტები მართლაც რომ მეგზურები იყვნენ რეფორმის დანერგვის პროცესში. ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ პედაგოგებთან, აძლევდნენ მყისიერ და კონსტრუქციულ უკუკავშირს, ერთად განიხილავდნენ ყველა დეტალსა თუ პრობლემას, პედაგოგებს მრავალფეროვანი რესურსებით უზრუნველყოფდნენ, რამაც ხელი შეუწყო მათ პროფესიულ ზრდას და სკოლის ერთიან გუნდად ჩამოყალიბებას.

„ახალი სკოლის მოდელის“ დანერგვისას გაიზარდა მოსწავლეთა ინტერესი და ჩართულობა, კლასში არ რჩება პასიური მოსწავლე, ასრულებენ კომპლექსურ დავალებებს, ჩართული არიან შემოქმედებით პროცესში, ქმნიან, იძიებენ, აანალიზებენ, უკავშირებენ, ახდენენ მიღებული ცოდნის სინთეზს. საგაკვეთილო პროცესი უფრო დინამიური და საინტერესო გახდა. შესაბამისად, ამაღლდა სწავლა-სწავლების ხარისხი.

„ახალი სკოლის მოდელის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში, რამაც ხელი შეუწყო როგორც გაკვეთილის გამრავალფეროვნებას, ასევე მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესძინა საჭირო და მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც დაგვეხმარა, პანდემიის დროს, რამდენიმე ნაბიჯით წინ აღმოვჩენილიყავით დისტანციური სწავლების პროცესში.

ახალი სკოლის მოდელი

მოსწავლეზე ორიენტირებული „ახალი სკოლის მოდელის“ იმპლემენტაცია ნამდვილად საინტერესო და მრავლისმომცემი, ცოცხალი პროცესი იყო. დარგის ექსპერტების აქტიური და დაუღალავი შრომით შევძელით მიგვეღწია მიზნისთვის: ჩამოგვეყალიბებინა კრიტიკულ აზროვნებაზე, პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო, რომელიც მოზარდს 21-ე საუკუნისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შესძენს.

ინეზა ზამთარაძე
თერჯოლის მუნიციპალიტეტის ღვანკითის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

ჩემი აზრით ნებისმიერი ახალი მოდელი, განსაკუთრებით განათლებაში, ეფუძნება წინარე კვლევებს, რომლებიც, თავის მხრივ, გულისხმობს კონკრეტული პრობლემების გამოკვეთას და მათი მოგვარებისკენ მიმართულ ქმედებას. როგორც სკოლის ხელმძღვანელი, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, ველოდები პროფესიონალთა ჯგუფს, ახალ რგოლს, რომელიც სკოლის ბაზაზე პედაგოგებს რამდენიმე მიმართულებით გაუწევს კონსულტაციას, კერძოდ: სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვა, სწავლის პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება და სხვ.

ვფიქრობ, ამ მოდელის ფარგლებში მასწავლებლების მიერ განერილ ყოველდღიურ გეგმებს გრძელვადიანი მიზნები ჩაანაცვლებს, რა უნდა აკეთოს მასწავლებელმა, რა მიზანს მიაღწიოს, რა შედეგზე გავიდეს მოსწავლე. მნიშვნელოვანი იქნება, რომ სკოლამ შეძლოს ისეთი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც მოსწავლის განვითარების რეალური გზა იქნება.

ელისო მურადაშვილი
თერჯოლის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

ყოველთვის გვქონდა სურვილი, ჩავრთულიყავით ამ პროექტში, რადგან „ახალი სკოლის მოდელი“ მასწავლებლის მხარდაჭერა-დახმარებაზე ორიენტირებული პროექტია. ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ პროექტი მიმართულია სკოლის, როგორც ერთიანი გუნდის განვითარებაზე და არა მცირე რაოდენობით ელიტური მასწავლებლების გამოკვეთაზე, აქცენტი კეთდება სასკოლო კულტურის ყველა მხარეზე და არა რომელიმე ერთ-ერთზე. „ახალი სკოლის მოდელს“ წინამორბედი პროექტებისგან გამოარჩევს, ერთი მხრივ, მასშტაბები, მეორე მხრივ კი – კონცეპტუალური მიდგომები.

გვაქვს მოლოდინი, რომ პროექტის გავლენით მასწავლებელი უკეთესად შეძლებს თემების, საკითხების, რესურსების, საკვანძო შეკითხვებისა და კომპლექსური დავალებების შერჩევას იმის მიხედვით, თუ რა დასჭირდებათ მის მოსწავლეებს. სახელმძღვანელო მათთვის ერთ-ერთი და არა ერთადერთი რესურსი იქნება. ემოციურად უსაფრთხო გარემო, გუნდური

> *„ახალი სკოლის მოდელი“ ჰასუხს სცემს მნიშვნელოვან კითხვებს – რას ვასწავლით (საგნებს, საკითხებს, თემებს), რისთვის ვასწავლით (მკვიდრი ნარმოდგენების ჩამოყალიბებისათვის) და როგორ ვასწავლით (კეთებით, კომპლექსური დავალებებით), რადგან ჩინური ანდაზისა არ იყოს – „მითხარი და დამავიწყდება, მაჩვენე და დავიმახსოვრებ, გამაკეთებინე და გავიგებ“ – ყველაზე შედეგიანი სნორედ კეთებით სწავლებაა.*

მუშაობა და ყოველდღიური თანადგომა საშუალებას მოგვცემს მასწავლებლებს, საკუთარ თავში ვიპოვოთ რესურსი სასწავლო საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მოსწავლეთა ინტელექტუალური ძალების გაშლა-განვითარების ხელშესაწყობად და უკეთესი შედეგების მისაღწევად. მოლოდინი გვაქვს, რომ სკოლაში კიდევ უფრო წარმატებულად შევძლებთ პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას, უკლებლივ ყველა მოზარდს მივცემთ საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას და XXI საუკუნის გამოწვევათა შესაბამის ახალგაზრდას გავუშვებთ სკოლიდან.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

დისტანციური სწავლება

მასწავლებლების უმრავლესობისთვის დისტანციური ფორმატი სიახლე და დიდი გამოწვევა აღმოჩნდა

ნარგიზ ქილიფთარი
რუსული ენის წამყვანი მასწავლებელი თბილისის ჯამბულ წურწუმიას სახელობის №94 საჯარო სკოლაში, დისტანციური სწავლების მასწავლებელი /მასწავლებლის სახლი/ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შუა სურების და ზემო ხეთის საჯარო სკოლები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის საგნობრივი ტრენერი და გარე დაკვირვების ექსპერტი, Microsoft education ექსპერტი 2020-2021წ.

ონლაინ სწავლების თემაზე ბოლო დროს უამრავი მოსაზრება გამოითქვა, როგორც განათლების ექსპერტების, ისე სწავლა-სწავლების პროცესის მონაწილე მხარეების (მოსწავლე, მასწავლებლების) მიერ; დასახელდა პროცესის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, ასევე მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები. და რა თქმა უნდა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ სწავლა-სწავლების დისტანციური ფორმატი მკვეთრად განსხვავდება ტრადიციული სწავლების ფორმატისაგან და საქართველოს საჯარო სკოლების მასწავლებლების უმრავლესობისათვის ეს ფორმატი სიახლე და დიდი გამოწვევა აღმოჩნდა. „მასწავლებლების უმრავლესობისათვის“ იმიტომ ვამბობ, რომ პედაგოგთა ნაწილს, პანდემიის დაწყებამდე, უკვე ჰქონდა დისტანციური სწავლების გამოცდილება.

ჩემთვის ყველაფერი 2020 წლის ოქტომბერში დაიწყო, როდესაც მასწავლებლის სახლის პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის“ ჩავერთე; ამ პროგრამის ერთ-ერთი ახალი მიმართულებაა დისტანციურად სწავლების შეთავაზება მაღალმთიანი რეგიონების იმ სკოლებისთვის, სადაც პედაგოგთა დეფიციტი შეიქმნა. მასწავლებლის სახლის მიერ შერჩეულმა რამდენიმე ათეულმა მასწავლებელმა დავიწყეთ ამ ახალი ფორმატის ათვისება და დანაჩენებისთვის „გზის გაკვლევა“. უნდა აღინიშნოს, რომ უკვე რამდენიმე წელია, მასწავლებლის სახლის ტრენერ-მასწავლებლები მსგავს პროექტს ახორციელებენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ემიგრანტი ბავშვებისთვის და საკმაოდ კარგი შედეგებიც მიიღეს.

შერჩეულმა მასწავლებლებმა შესაბამისი ტრენინგები გავიარეთ, „Teams“ პლატფორმაზე მუშაობა ვისწავლეთ, სხვადასხვა ციფრული რესურსის გამოყენებით გავამდიდრეთ ჩვენი სასწავლო რესურსები და შევუდექით ჩვენთვის ახალი ფორმატით სწავლებას. მე უცხოური ენის მასწავლებელი ვარ, რუსული ენის მიმართულებით. პროგრამაში ამ საგნის ორი მასწავლებელი ვართ ჩართული – მე და ირმა კურტანიძე. ირმა გორის №9 და №11 საჯარო სკოლებში მუშაობს, მე – თბილისის №94 საჯარო სკოლაში. დისტანციური სწავლების პროგრამით კი, მე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზემო ხეთის და შუა სურების, ხოლო ირმა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგაშენის საჯარო და ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სკვანის საჯარო სკოლებში „გადავნაწილდით“.

როდესაც მსოფლიო პანდემიის გამო, საქართველოს ყველა სკოლა მოულოდნელად და „ფორს მაჟორულ“ სიტუაციაში გადავიდა ონლაინ სწავლებაზე, ჩვენ მცირე გამოცდილება უკვე გვქონდა. განათლების სამინისტრომ სკოლებს არჩევანის უფლება დაუტოვა და შესთავაზა, რამდენიმე პლატფორმიდან მათთვის მოსახერხებელი შეერჩიათ და ონლაინ გაეგრძელებინათ მუშაობა. მე, რა თქმა უნდა, „Teams“ პლატფორმაზე მუშაობა ვარჩიე და უკვე №94 საჯარო სკოლის მოსწავლეებს შევთავაზე ამ პლატფორმაზე მუშაობა. ამ გამოცდილების „გადმოსახედიდან“ მინდა გამოვკვეთო ის მიგნებები, მიღწევები და პრობლემები, რაც დავინახე სწავლების პერიოდში.

რეგიონების სკოლებში მუშაობა მიმდინარეობდა სკოლის კედლებში. მოსწავლეები შემოდიოდნენ კომპიუტერულ კლასში და იქედან ერთვებოდნენ გაკვეთილში; როგორც ვიცით, საქართველოში თითქმის ყველა სკოლა ინტერნეტით უზრუნველყოფილია, თუმცა ინტერნეტის დაბალი სიჩქარე და პერიოდული გამორთვა საკმაოდ შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდა გაკვეთილის ხარისხიანად წარმართვის პროცესისთვის. თუმცა სკოლების დირექცია და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სამსახური (emis), მუდმივ კონტაქტზე ყოფნით, მაქსიმალურად სწარაფად ცდილობდნენ, ეს შეფერხება აღმოეფხვრათ.

როდის იჩინა თავი პრობლემებმა? როდესაც ყველა სკოლა გადავიდა ონლაინ სწავლებაზე. რა მოხდა? აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა ნაწილს არ აქვს შესაბამისი რესურსი: კომპიუტერი, ტელეფონი, ზოგს არ აქვს ინტერნეტი, ზოგს ინტერნეტის ჩართვის საშუალება და სხვ. ეს პრობლემები გამოიკვეთა როგორც ქალაქის, ისე რეგიონის სკოლებში. რა თქმა უნდა, მასწავლებლებმა უდიდესი ძალისხმევა და მონდომება გამოვიჩინეთ, რომ ეს პრობლემები მინიმუმამდე დაგვეყვანა, მაგ. თანხა გადავრიცხეთ, მოსწავლეს ინტერნეტი რომ ჩაერთო. ვუკავშირდებოდით ტელეფონით, საღამოს საათებში, როდესაც მშობელი სახლში იყო და მოსწავლეს ტელეფონთან წვდომა ჰქონდა. უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ზოგიერთ მოსწავლესთან სულ 1-2 ჯერ მოხერხდა დაკავშირება, მეზობლის ან ნათესავის ტელეფონით. რა თქმა უნდა, აქ ცალკეული მასწავლებლის ან სკოლის ძალისხმევა საკმარისი არ არის. პრობლემის გადაწყვეტაში განათლების საკითხებზე მომუშავე ყველა უწყება და ორგანიზაცია უნდა ჩაერთოს, ჩემი აზრით.

სამწუხაროდ, ახალი სასწავლო წელიც მთელ რიგ სკოლებში ონლაინ ან შერეული ფორმატის სახით დაიწყო. თუმცა, დღეს მასწავლებელთა უფრო დიდი ნაწილი მომზადებული შეხვდა რეალობას. ზაფხულის განმავლობაში მასწავლებლებმა მოვისმინეთ ვებინარები, გავიარეთ ტრენინგები, სასწავლო კურსები. „მაიკროსოფტის“ სასწავლო კურსების გავლამ და მაიკროსოფტ-ექსპერტის წოდების მიღებამ საშუალება მომცა არა მარტო მაიკროსოფტის, არამედ მისი პარტნიორი საგანმანათლებლო პლატფორმების და პორტალების რესურსების უფასო პაკეტებით ვისარგებლო, როგორც მე, ისე სკოლამ, სადაც ვმუშაობ.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ის დადებითი მხარე, რაც ამ ტიპის სწავლების შეთავაზებამ მოგვცა ამ სკოლებში: გაკვეთილები აღარ ცდებოდა, შესაბამისი საგნის მასწავლებლის არარსებობის გამო; მასწავლებლები ვცდილობდით და ვცდილობთ, მრავალფეროვანი რესურსი შევთავაზოთ მოსწავლეებს, დაწყებული ინტერაქტიული PP პრეზენტაციით, დამთავრებული ისეთი რესურსებით, როგორიცაა, აუდიო, ვიდეომასალა, ონლაინ ვიქტორინები-Qwizizz, რესურსები learning. Aps თუ ფლეშ-ბარათები პროგრამა Goconqr-ში; გაკვეთილების მზადების და ჩატარების პროცესში აქტიურად ვიყენებ მაიკროსოფტ 365-ის ინსტრუმენტებს, „Sway“, „buncee“ პროგრამებში მომზადებულ პრეზენტაციებს, რომლებიც მრავალფეროვანი და ხატოვანი, ხალისიანი დიზაინით და შინაარსით ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. კარგი საშუალებაა, დისტანციური სწავლების დროს, Padlet და Whiteboard დაფების გამოყენება თანამშრომლობისთვის და ერთობლივი მუშაობისთვის; ჩემს მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ Flipgrid პლატფორმაზე მუშაობა. Flipgrid მოხმარებისთვის მარტივი პლატფორმაა, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს და მოსწავლეებს, ჩაწერონ მოცემულ თემაზე ვიდეო პასუხები, 15-დან 90 წამამდე დროის ინტერვალში. ეს საუკეთესო საშუალებაა მეტყველების განვითარებისთვის. მაიკროსოფტის კიდევ ერთი ინსტრუმენტი – Forms – ცოდნის დონის და მასალის გაგება-გააზრების შემოწმებისთვის მშვენიერი საშუალება აღმოჩნდა. ყველა ამ ინსტრუმენტს თუ პლატფორმას აქვს უკუკავშირის მიღებისა და მიცემის საშუალება, რაც აუცილებელია როგორც პირისპირ, ისე ონლაინ სწავლებაში. ყველა ამ საშუალებით, საგანთან ერთად, მოსწავლეები სწავლობენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, მათ ისწავლეს ვიდეო და აუდიოფაილების ჩაწერა, პრეზენტაციების დამზადება სხვადასხვა გზებითა და ხერხებით. ეს, რა თქმა უნდა, სწავლების დადებითი მომენტია.

დღეს ყველა პედაგოგის და მოსწავლის უდიდესი სურვილია, გაკვეთილები საკლასო ოთახებში ჩატარდეს, თუმცა შეძენილ გამოცდილებას აუცილებლად გამოვიყენებთ დამატებითი სამუშაოებისთვის, ონლაინ თანამშრომლობისთვის, თვითგანათლებისთვის. იმედს ვიტოვებ, რომ დადგება ის დროც, როდესაც სოფელს დაუბრუნდებიან ახალგაზრდები, სამუშაო ადგილები ადგილობრივი კადრებით შეივსება და ონლაინ სწავლება აქაც, მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების განსახორციელებლად დაგვჭირდება.

სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსი

გავაცოცხლოთ კარგი ლიდერის სტანდარტი რეალური ადამიანების სახით

ლალი ჯელაძე

სკოლის ლიდერობის ეროვნულმა კონკურსმა, ათი ფინალისტიდან, სამი გამორჩეული დირექტორი გამოავლინა – გრან-პრის მფლობელი გახდა **ლენა გომართელი**, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის დირექტორი; სპეციალური პრიზის მფლობელები არიან: **გელა მაჭარაშვილი** – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლის დირექტორი; **ვარდენ ნიქაბაძე** – მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლის დირექტორი.

განათლების კოალიციამ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით და გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მხარდაჭერით, ლიდერობის კონკურსს საფუძველი იმ მიზნით ჩაუყარა, რომ ხელი შეუწყოს სკოლის მართვის პრაქტიკის განვითარებას და სწავლა-სწავლების შედეგების გაუმჯობესებაზე მიმართული შიდა სასკოლო ძალისხმევის მხარდაჭერას საქართველოს საჯარო სკოლებში; კონკურსის შედეგად გამოვლენილი წარმატებული დირექტორები კი, გააცნოს ფართო საზოგადოებას, რომ მათი საუკეთესო პრაქტიკის შესახებ არა მხოლოდ პროფესიულმა წრეებმა იცოდნენ.

კონკურსის მთავარი სპონსორის, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის დირექტორი **ზურაბ კერვალიშვილი** ამბობს, რომ ფონდმა მორიგი საინტერესო პროექტი დააფინანსა, რადგან მათი უმთავრესი ამოცანა ქვეყანაში სწორედ განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობაა: *„ფონდისთვის პრიორიტეტულია სასკოლო განათლების საერთო ხარისხის ამაღლება, განათლების სტანდარტების გაუმჯობესება. ამის მიღწევა, დიდწილად, სწორედ წარმატებულ მასწავლებელსა და ლიდერ დირექტორზე დგას. ამდენად, ჩვენი ფილანტროპული ინვესტიციებით განათლების სფეროში გვინდა, კიდევ უფრო მეტად შევუწყოთ ხელი დირექტორისა და მასწავლებლის განვითარებას, მათი როლის გაძლიერებას. თუკი სკოლებში გვეყოლება ინიციატივიანი, მოტივირებული დირექტორები, რომლებსაც გადაწვეტილებების მიღება და პასუხისმგებლობის აღება შეუძლიათ, ეს სასკოლო განათლებაში სისტემურ ცვლილებას მოგვიტანს.*

სკოლის ლიდერობის კონკურსმა შესაძლებლობა მოგვცა, გაგვეცნო ათობით წარმატებული დირექტორი, რომლებმაც მიზნად დაისახეს, შეცვალონ სკოლის მართვის ძველი პრაქტიკა და გარემო, სრულიად ახალი მიდგომა შემოგვთავაზონ, რომ მოსწავლემ საუკეთესოს მიღება შეძლოს სკოლაში. კიდევ ერთი პოზიტივია, რომ კონკურსის მონაწილეებმა ერთმანეთი გაიცნეს, რაც გამოცდილების გაზიარების შესანიშნავ პლატფორმას ქმნის. ვფიქრობ, მათი წარმატებული მაგალითი დამატებით მოტივაციას მისცემს სხვა სკოლების დირექტორებს, განავითარონ სკოლის მართვის პრაქტიკა და გაუმჯობესონ სწავლა-სწავლების პროცესი საკუთარ სკოლებში, რაც, საბოლოო ჯამში, ძლიერ სკოლას, ძლიერ მასწავლებელს და წარმატებულ მოსწავლეს მოგვცემს.

ვულოცავ წლევანდელი კონკურსის მონაწილეებს, ფინალისტებსა და გამარჯვებულებს. მადლობა ორგანიზატორებსა და ჟიურის წევრებს, რომ შეძლეს კონკურსში მონაწილეების ობიექტურად შეფასება. ესეც ერთგვარი პოზიტიური შედეგია ამ პროექტის, რომ იქმნება სკოლის დირექტორების მოღვაწეობის შეფასების ერთგვარი სისტემა.“

მთავარი სპონსორის გარდა, წლევანდელ კონკურსს სხვა მხარდამჭერებიც ჰყავდა - კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრი (ctc), თიბისი, ტელეკომპანია „იმედი“, KPMG Georgia და მარკეტინგული კომპანია „4media“.

გრან-პრის მფლობელ დირექტორს, პრიზის სახით, გადაეცა 5000 ლარი, ხოლო სკოლას სპეცპროექტის განსახორციელებლად – 30 000 ლარი. სპეციალური პრიზის მფლობელ დირექტორებს კი, პრიზის სახით, 2000-2000 ლარი გადაეცათ, მათი სკოლების მხარდაჭერის ერთიანი ფონდი 25 000 ლარს შეადგენს.

განათლების კოალიციის გამგეობის თავმჯდომარე **ირინა ხანთაძე**, ჩვენთან საუბრისას, ლიდერობის ეროვნული კონკურსის შედეგებს აფასებს და იმ სამომავლო გეგმებზე გვიყვება, რომელიც ქვეყნის საუკეთესო ლიდერების თანამშრომლობით უნდა გაგრძელდეს.

– რა არის სკოლის ლიდერობის ეროვნული სკოლის მთავარი ამოცანა და რამდენად კმაყოფილი ხართ კონკურსის პირველი შედეგებით?

– ლიდერობის ეროვნულმა კონკურსმა სტარტი 2019 წლის მიწურულს აიღო და განვითარება 2020-ში ჰპოვა. მაქიმალურად ვეცადეთ, კამპანია ეფექტურად ჩატარებულიყო. პანდემიური მდგომარეობის მიუხედავად, ვფიქრობ, ეს მოვახერხეთ. მართალია, გაცილებით მასშტაბური გვინდოდა ყოფილიყო, რადგან ამ კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი სწორედ სკოლის, როგორც ინსტიტუტის როლისა და მისი ლიდერის ფუნქციის უკეთ წარმოჩენა, შრომის მეტად დაფასებაა. ფაქტობრივად, ლიდერობის კონკურსს ეს ორი გამოკვეთილი ამოცანა აქვს: ერთი – სკოლის, როგორც ინსტიტუტის მნიშვნელობის წარმოჩენა და მის მიმართ მხარდაჭერის გაძლიერება საზოგადოების მხრიდან; მეორე – სკოლის ლიდერის როლის გამოკვეთა, გამორჩეული დირექტორების გამოვლენა და მეტი მხარდაჭერა როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების მხრიდან, რადგან სკოლის ხელმძღვანელის როლი სკოლის განვითარებაში, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში განუსაზღვრელად დიდია.

ამის გარდა, რა თქმა უნდა, კონკურსს ბევრი სხვა კონკრეტული ამოცანაც აქვს, მაგალითად, საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენა და გავრცელების ხელშეწყობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული ზრდისა და, ზოგადად, სკოლის მართვის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ვფიქრობ, ამ მიზნებს მივაღწიეთ. ამის თქმის უფლებას ფინალში გამოვლენილი დირექტორების საკმაოდ მრავალმხრივი და საინტერესო პრაქტიკები იძლევა.

წელს, სამწუხაროდ, პანდემიამ, ერთი მხრივ, უდავოდ, ძალიან დიდი გამოწვევები მოუტანა სკოლას და სასკოლო თემს, მაგრამ, ამავდროულად, ალბათ, ყველამ კარგად დავინახეთ, რაოდენ მნიშვნელოვანი დაწესებულებაა სკოლა და რამხელა როლს თამაშობს ის ძალიან ბევრი ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებასა და საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაში, ასევე, სოციალური მიმართულებით. ალბათ, კრიზისმა კიდევ უფრო კარგად წარმოაჩინა საკითხის აქტუალობა – უკეთ დავინახეთ რამდენი გამოწვევა აქვს სკოლას, თუნდაც, ინფრასტრუქტურის მხრივ. ბევრი სკოლის ხელმძღვანელის წუხილი, ხშირ შემთხვევაში, სწორედ არასათანადო ინფრასტრუქტურასა და რესურსების ნაკლებობას უკავშირდება. თუმცა, აქვე ჩნდება მეორე მნიშვნელოვანი საკითხი - სასკოლო ანგარიშვალდებულება, ანუ როგორ არის ორგანიზებული ქვეყანაში სკოლების მართვის სისტემა, როგორი სუბიექტია სკოლა, არის დამოუკიდებელი? და თუ გვინდა, რომ უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი სკოლა გვქონდეს, აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ ანგარიშვალდებულების სისტემა. კონკურსმა ამ საკითხების აქტუალობაც გვიჩვენა. დაჯილდოების ცერემონიალზეც ყველა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ სასკოლო რეფორმა დასაჩქარებელია. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ მიმართულებით უფრო სწრაფი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.

– შეიძლება ითქვას, რომ კონკურსი ამკვიდრებს სტანდარტს – როგორი უნდა იყოს საგანმანათლებლო ლიდერი?

– სკოლის ლიდერების გამოვლენა და საზოგადოებისთვის მათი წარდგენა სწორედ ამ მიზანს ემსახურება – საგანმანათლებლო ლოდერების სტანდარტი მისაბაძი მაგალითების წარმოჩენით გავაცოცხლოთ. ეს გვინდა კონკრეტული ადამიანების სახით/წარმოჩენით გავაკეთოთ და არა მხოლოდ დაწერილი ფორმით, თუ როგორი უნდა იყოს კარგი დირექტორი. ძალიან გვიხარია, რომ კონკურსმა ბევრი ასეთი სამაგალითო ლიდერი დაგვანახა. ისინი რეალურად არიან განათლების სისტემაში და აუცილებლად უნდა გავაცნოთ როგორც პროფესიულ თემს, ისე საზოგადოებას. ამიტომ, კონკურსს ნამდვილად აქვს ეს დატვირთვაც - გავაცოცხლოთ კარგი ლიდერის სტანდარტი რეალური ადამიანების სახით.

– რა ფორმით გაგრძელდება თქვენი თანამშრომლობა ქვეყნის საუკეთესო სკოლის ლიდერებთან?

– რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, რა თქმა უნდა, ჩვენი ურთიერთობა ფინალისტებთან ამ წლის კამპანიის დასრულებით არ სრულდება, აუცილებლად გავაგრძელებთ მათთან თანამშრომლობას ისევე, როგორც ამას მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფარგლებში შექმნილ ათეულთა კლუბთან ვაკეთებთ. ჯერ არ გვაქვს მკაფიო გადაწყვეტილება იმის შესახებ, ასეთი ინსტიტუციური სახე მივცეთ თუ რაიმე კლუბი შეიქმნას. გადაწყვეტილებას ფინალისტებთან ერთად მივიღებთ, მაგრამ მკაფიოა ჩვენი თანამშრომლობის გაგრძელება გამორჩეულ სკოლის ლიდერებთან სხვადასხვა მიმართულებით. ერთი მიმართულება იქნება მათი საუკეთესო პრაქტიკების გავრცელება და მათი ჩართვა სხვადასხვა პროფესიული გამოცდილების გაზიარების ღონისძიებებში, რომ უკეთ წარმოვაჩინოთ მათი საქმიანობა. მეორე მიმართულება კი, იმ უკუკავშირის მიღება იქნება, რომელიც ძალიან გვჭირდება იმისთვის, რომ მუდმივად ვადევნოთ თვალი საქართველოს სკოლების საჭიროებებს, პრობლემებსა თუ მიღწევებს/პოზიტიურ ტენდენციებს. ამ ათი ლიდერის სახით, ჩვენ გვეყოლება რეფერენს ჯგუფი, რომელთანაც ინტენსიურად ვითანამშრომლებთ. აუცილებლად ვეცდებით, მათ თანადგომას და სკოლაში საინტერესო პროექტების რეალიზებაშიც დავეხმარებით, რაც ასევე სამოდელო და სამაგალითო შეიძლება გახდეს დანარჩენი სკოლებისთვის.

– მიადევნებთ თუ არა თვალს, რას მოხმარდება საპრიზო თანხები?

– რასაკვირველია, აუცილებლად მივადევნებთ თვალს. ამ ეტაპზე, ეს თანხა, შემოწირულობის სახით, რა თქმა უნდა, სკოლებს გადაეცემათ, მაგრამ ამას საფუძვლად დაედება გარკვეული ტიპის საპროექტო განაცხადი, რომელსაც გამარჯვებული სკოლები უახლოეს ხანებში მოგვაწვდიან – რა მიმართულებით ფიქრობს სკოლის ხელმძღვანელი და მისი გუნდი აღნიშნული თანხის დახარჯვას. რეალურად, ეს იქნება ერთგვარი საფუძველი იმ ანგარიშგებისა, თუ როგორ გამოიყენებს სკოლა/სასკოლო საზოგადოება კონკურსით მიღებულ ფულად რესურსს. მათ გარკვეული ვალდებულებაც ეკისრებათ, რომ ფართოდ გაავრცელონ ინფორმაცია, რა მიმართულებით დახარჯავენ საპრიზო თანხას. ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდანაც საჯარო იქნება. თითოეული სკოლის ლიდერს, აპლიკაციაში, ჰქონდა ზოგადი მონახაზი იმის შესახებ, თუ რაში გამოიყენებდა სასკოლო საპრიზო თანხას. თუმცა, მას შემდეგ ბევრი თვე გავიდა და თუ გავითვალისწინებთ პანდემიით გამოწვეულ მოვლენებს, მათ სრულიად ლეგიტიმური უფლება აქვთ, გადახედონ სკოლის საჭიროებებს და განახლებული ფორმით წარმოგვიდგინონ, რის საფუძველზეც გადაეცემათ ფულადი თანხა.

– დაბოლოს, ჩატარდება თუ არა სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსი მომავალ წელს და მიიღებს თუ არა ყოველწლიური კონკურსის სახეს, როგორც ეს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს შემთხვევაში მოხდა?

სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსი

– კონკურსი აუცილებლად გაგრძელდება. სიმართლე გითხრათ, როცა ვიწყებდით, არ ვიცოდით, რამდენად ეფექტურად წარიმართებოდა საცდელი კონკურსი, მაგრამ დღეს შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სავსებით დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ ლიდერობის ეროვნული კონკურსი უნდა გავაგრძელოთ. დავინახეთ, რომ მას მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს იმ თვალსაზრისით, რომ შეუძლია დადებითი გავლენა იქონიოს სკოლის/სასკოლო ლიდერობის საკითხის განვითარებაზე. ასე რომ, კონკურსი აუცილებლად გაგრძელდება და ახალი კამპანია, უკვე მომავალ წელს, გაზაფხულისკენ დაიწყება. რა თქმა უნდა, მაქსიმალურად გავითვალისწინებთ წლევანდელი წლის გამოცდილებას და უფრო მეტად დავხვეწთ კონკურსს. წლის ბოლომდე გავმართავთ კონსულტაციებს როგორც ფინალისტებთან, ისე სხვა დაინტერესებულ პირებთან, მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებებს და, შესაძლებელია, გარკვეული ცვლილებებიც კი შევიტანოთ. კონკურსის გაგრძელების საკითხში ძირითადი მხარდამჭერებისგან და კონკურსის პარტნიორისგანაც უკვე გვაქვს თანხმობა, მზაობაა სპონსორის მხრიდანაც, ასე რომ, მომავალში კონკურსის გაგრძელება ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილია.

❖ ❖ ❖

გამარჯვებული დირექტორები საუბრობენ, თუ რა მისცათ მათ ლიდერობის კონკურსში მონაწილეობამ და რას უკავშირდება მათი სამომავლო გეგმები.

ლენა გომართელი
ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის დირექტორი:

„ლიდერობის კონკურსმა, პირველ რიგში, მოგვცა საშუალება, რომ ჩვენი საქმიანობის რეფლექსია გაგვეკეთებინა: რა არის ჩვენი ძლიერი მხარე და რა მიმართულებებით გვჭირდება მუშაობის გაძლიერება. შეგვმატა თავდაჯერებულობა, გამბედაობა და კიდევ მეტი პროექტისა და პროგრამის დანერგვის სურვილი გაგვიჩინა. ლიდერობის კონკურსმა გაგვაცნო სკოლის ლიდერები. ჩვენ ერთმანეთისგან ბევრი ვისწავლეთ და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები დავსახეთ. ლიდერობის კონკურსმა შეძლო, რომ სკოლების საქმიანობა გაეცნო ფართო საზოგადოებისთვის და მეტი მეცენატისთვის გაეჩინა სასკოლო პროექტების დაფინანსების სურვილი. ლიდერობის კონკურსმა და მასწავლებლის ეროვნულმა ჯილდომ აღიარება მოუტანა სასკოლო საზოგადოებას, რაც ძალიან მამოტივირებელია დირექტორებისთვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის. ზოგადად, კონკურსებში მონაწილეობა პროფესიული ზრდისა და თვითშეფასების ძალიან კარგი საშუალებაა, რაც სკოლის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, როცა 6 წლის წინ დირექტორად ამირჩიეს, არ მიფიქრია, რომ ოდესმე ასეთ კონკურსში მივიღებდი მონაწილეობას. თუმცა, სკოლის გუნდთან ერთად გააზრებული მქონდა, საით უნდა მიგვემართა ჩვენი ხედვა, როგორ გაგვეხადა ჩვენი სკოლა მოსწავლეებისთვის საინტერესო და შინაარსიანი ადგილი, სადაც ისინი რეალიზებული იქნებოდნენ. ბევრი ვიშრომეთ ამისთვის, მოვიპოვეთ გრანტები, გავაძლიერეთ ადამიანური და მატერიალური რესურსი, დავნერგეთ ახალი პროგრამები და მიმართულებები. ლიდერობის კონკურსის წყალობით კი, საზოგადოებას ჩვენი საქმიანობის ანგარიში ჩავაბარეთ და ახალი გეგმებიც დავსახეთ.

„ქვეყნის საუკეთესო ლიდერი“ – ცოტა ხმამაღლა ნათქვამია. ყველა კონკურსანტი ღირსეული ლიდერია და დარწმუნებული ვარ, მომდევნო კონკურსები კიდევ ბევრ საინტერესო ლიდერს წარმოაჩენს.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ჩვენი სკოლის ერთ-ერთი მიმართულება უცხო ენების გაძლიერება გახლავთ. დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მოსწავლეებს გზა გავუხსნათ ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებისკენ, პროფესიული სასწავლებლებისკენ, რათა ისინი მდიდარი ცოდნითა და გამოცდილებით კვლავ სამშობლოს დაუბრუნდნენ და ქვეყნის აღორძინებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ. უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა STEM-ის საგნების გაძლიერებულად სწავლების, მოსწავლეებში კომუნიკაციური უნარებისა და კრიტიკული აზროვნების გაუმჯობესების, მეცნიერებით დაინტერესების საშუალებას გვაძლევს. ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ პროცესებში ტექნოლოგიების ჩართვა, რის გარეშე ცხოვრება უკვე წარმოუდგენელია. ასე რომ, 30 000 ლარი საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ უცხო ენის გაძლიერებულად სწავლების კურიკულუმი, რომელშიც ტექნოლოგიების გამოყენებას განსაკუთრებული როლი ექნება. მზად ვართ, ამ კუთხით ჩვენი გამოცდილება სამომავლოდ სხვა სკოლებსაც გავუზიაროთ.“

ვარდენ ნიქაბაძე
მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლის დირექტორი:

„უპირველეს ყოვლისა, გავიცანი ბევრი საინტერესო და ნიჭიერი ადამიანი, როგორც კონკურსის ფინალისტები, ასევე არაჩვეულებრივი ადამიანები განათლების კოალიციიდან. მათთან ურთიერთობით, პროცესში მონაწილეობით შევიძინე უდიდესი ცოდნა და გამოცდილება. გარდა ამისა, სკოლას, როგორც მთლიან გუნდს საშუალება მიეცა, კიდევ ერთხელ, სხვა თვალით შეეხედა გაწეული საქმიანობისთვის. დარწმუნებული ვარ, ეს გამარჯვება ერთგვარი სტიმული იქნება ჩვენი გუნდის თითოეული წევრისთვის, იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით გააგრძელონ საკუთარი საქმიანობა.

რაც შეეხება კონკურსის მნიშვნელობას, უდავოა მასწავლებლის როლი განათლების სისტემაში, თუმცა, მასწავლებლების საქმიანობისთვის შესაბამისი გარემოს, სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებაში არანაკლებ მნიშნელოვანია სკოლის დირექტორის, როგორც საგანმანათლებლო ლიდერის როლი. განათლების კოალიციამ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდისა და სხვა სპონსორების მხარდაჭერით, დიდი საქმე გააკეთა, მაღალპროფესიონალურ დონეზე სკოლის დირექტორების, ლიდერების საქმიანობის დაფასებისა და პოპულარიზაციის გზაზე. ძალიან მნიშვნელოვანი იყო კონკურსის მონაწილე სკოლების კომპლექსური შეფასება. როგორც გამოცდილებამ აჩვენა, მხოლოდ სკოლების ავტონომიურობა თავისთავად ვერ იქნება წარმატების გარანტი. ავტონომიურობასთან ერთად, მნიშვნელოვანია თვითშეფასების, გარე მხარდაჭერის, შეფასებისა და აღიარების ეფექტური სისტემის ამოქმედება. ამ მიმართულებითაც სამაგალითო იყო კონკურსი. მართალია, კონკურსების ფორმატი ზოგადად განსხვავებულია, მაგრამ მე პირადად დამანახა როგორი შეიძლება იყოს კარგი გარე შეფასების სისტემა. ძალიან საინტერესოდ წარიმართა თავად პროცესი. პირველ ეტაპზე, კონკურსში მონაწილე თითოეული სკოლის დირექტორს საკმაოდ მაღალპროფესიულ დონეზე შედგენილი კითხვარის (თვითშეფასების) შევსება მოუწია. შემდეგ ეტაპზე, ათეულის წევრებმა საინტერესო და სახალისო გუნდური და ინდივიდუალური დავალებები შეასრულეთ. ასევე, გაიმართა საბჭოს წევრების შეხვედრა ჯერ უშუალოდ სკოლის დირექტორებთან, შემდეგ სასკოლო საზოგადოების წევრებთან (მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან) და ა.შ. რაც მთავარია, კონკურსის ყველა მონაწილისთვის ცხადი იყო შეფასების კრიტერიუმები და პრინციპები. ვფიქრობ, მსგავს კონკურსებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს განათლების სისტემის განვითარებისა და გაუმჯობესების მიმართულებით.

ცხადია, არასდროს არ არის თანხა საკმარისი იმ მიზნების შესასრულებლად, რაც დასახული გვაქვს და ყოველთვის გვინდა არჩევნის გაკეთება. პირველ რიგში, ვფიქრობთ, მოსწავლის ქოუჩინგი დავაფინანსოთ. ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი 3 წლის წინ წამოვიწყეთ და ძალიან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ბავშვებისა და მშობლების მხრიდან, პროცესი მონაწილე მასწავლებლებისთვისაც საინტერესოა. მოსწავლის ქოუჩინგი პრინციპულად განსხვავებულ, თანამედროვე და ინოვაციურ მიდგომას ითვალისწინებს მოსწავლეების მიმართ. ამ მიმართულებით, ჩვენ მიერ განხორციელებული შიდა შეფასებითაც მნიშვნელოვანი შედეგები გვაქვს. მეორე, გვინდა შევიძინოთ, მინიმუმ, ერთი ინტერაქტიული დაფა. რეალურად თანამედროვე ტექნოლოგიების, იმავე ონლაინ სწავლების დროს მიღებული გამოცდილების ეფექტურად შემოტანა საკლასო სივრცეში სწორედ სმარტ დაფის მეშვეობითაა შესაძლებელი. დარჩენილ თანხას საინჟინრო კლუბის ამოქმედებისკენ მივმართავთ.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და მის რექტორს, ბატონ გიგა ზედანიას იმ საჩუქრისთვის, რასაც სკოლის სასწავლო დრონებით აღჭურვა, საინჟინრო კლუბის ჩამოყალიბებაში დახმარება ჰქვია. სკოლაში უკვე გვაქვს 3D პრინტერი და 3D კლუბი (ვბეჭდავთ მულაჟებს, თვალსაჩინოებებს), წიგნისა და კომპიუტერის მოყვარულთა კლუბი (რომელიც ზოგადად კითხვას და ელექტრონულ წამკითხველებს უწევს პოპულარიზაციას), თუ ამას საინჟინრო კლუბიც დაემატება (შესაძლებელია, ყველაფერი ერთ კლუბში გავაერთიანოთ, ტექნოლოგიების მიმართულებით), ჩვენი სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, სკოლიდანვე ეზიარონ 21-ე საუკუნის ტექნოლოგიებს, უშუალოდ კეთებით შეისწავლონ ინჟინერიისა და პროგრამირების საწყისები. შეიძლება მოვლენებს წინ ვუსწრებ, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, მომავლში, ჩვენი სკოლის ბაზაზე შექმნილი ტექნოლოგიების კლუბში მოვიწვიოთ მეზობელი სკოლების მოსწავლეებიც – ჩვენი სკოლის გარდა, ფარცხანაყანევში კიდევ 3 სკოლა ფუქნციონირებს.“

გელა მაჭარაშვილი
საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლის დირექტორი:

„ჩვენი პროფესია ძალიან ბევრ შრომას, ენერგიასა და საქმისადმი ერთგულებას მოითხოვს. მიმაჩნია, რომ დირექტორის, როგორც საგანმანათლებლო ლიდერის ნებისმიერი მიღწევა გუნდური შრომის შედეგია. იყო წარმატებული სკოლის წარმატებული სასწავლო ლიდერი და კარგი მენეჯერი, ნიშნავს იზრუნო სკოლაში მომუშავე თითოეულ ადამიანზე, მშობელზე, მოსწავლეზე და შეუქმნა მათ უსაფრთხო, დაცული და კომფორტული გარემო, სასკოლო საზოგადოებასთან ერთად.

სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსი საქართველოში პირველად ჩატარდა. მისი მიზანი იყო საჯარო სკოლების პრესტიჟისა და ავტორიტეტის გაზრდის მხარდაჭერა, რაც მოგვცემდა შესაძლებლობას , ჩვენი თავი, ჩვენი საგანმანათლებლო შედეგები და გამოცდილება წარმოგვეჩინა, ხელი შეგვეწყო ცოდნის გაზიარებისათვის, საუკეთესო პრაქტიკის გაცნობისათვის, სასკოლო განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რაც, საბოლოოდ, დადებითად აისახებოდა ჩვენს მოსწავლეებზე. ჩემთვის სკოლის ლიდერობის ეროვნულ კონკურსში მონაწილეობა დიდი გამოწვევა იყო და პირველი ჩემი მოტივატორები ჩემი მოსწავლეები და მასწავლებლები იყვნენ. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მოტივაცია, მიმელო კონკურსში მონაწილეობა, იყო ის, რომ, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ სოლიდური პრიზებია, გრან-პრის მფლობელ სკოლას, სპეცპროექტის განსახორციელებლად, 30 000 ლარი გადაეცემა, სპეციალური პრიზიც მნიშვნელოვანია, ჩვენ შემთხვევაში 12500 ლარს შეადგენს. გამარჯვება და აღიარება მეტ შესაძლებლობას გვაძლევს, დავამყაროთ პარტნიორული ურთიერთობები საქართველოსა და ევროპის სკოლებთან, მოვიძიოთ და გავაზიაროთ პოზიტიური გამოცდილება. გამარჯვება წაახალისებს ჩემი რაიონის, რეგიონის სასკოლო სისტემასაც, ამ სტატუსს გამოვიყენებ კორბოულის №2 საჯარო სკოლის განვითარებისა და დირექტორის, როგორც საგანმანათლებლო ლიდერის, საქმიანობის პოპულარიზაციისათვის.

კორბოულის №2 სკოლა, უკვე მეოთხე წელია, ჩართულია და ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და გამოცდებისა და შეფასების ცენტრის მიერ ინიცირებულ პროექტს „სკოლის თვითშეფასება განვითარებისათვის“. სკოლის მხარდაჭერის ფარგლებში მიღებული თანხით ვგეგმავთ ზემოთ აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ: გერმანული სკოლის მოდელის მიხედვით, ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების კვლევა-შეფასებას, მოსწავლეებში საგაზრდოო უნარების გასავითარებლად გამიზნული მეთოდიკის დანერგვას, სასწავლო ქოუჩინგის გაძლიერებას, დიფერენცირებული მიდგომებისა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სკოლაში შრომითი და პროფესიული სწავლების ელემენტების დანერგვას, გამოცდილების გაზიარების მიზნით გაცვლითი ტურისა და თავისუფალი სივრცის ორგანიზებას.“

ახალი ამბები

წერტილოვანი შეზღუდვები იმ სკოლებში დაწესდება, სადაც კორონავირუსით ინფიცირების ფაქტი დადასტურდება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო წერტილოვან შეზღუდვებს იმ სკოლებში დააწესებს, სადაც კორონავირუსით ინფიცირების ფაქტი დადასტურდება. დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციების შესაბამისად, ყველა პედაგოგი და მოსწავლე გადავა თვითიზოლაციაში, სკოლას ჩაუტარდება დეზინფექცია, სწავლა კი დისტანციურ რეჟიმში გაგრძელდება.

აჭარის გარდა, დადასტურებული კორონავირუსის გამო, დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა გურიისა და სამეგრელოს ზოგიერთი სკოლა. აღნიშნულ სკოლებს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშვებისა და ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარიატის სკოლებიც დაემატა, სადაც სასწავლო პროცესის უწყვეტობა ასევე შენარჩუნებული იქნება და სკოლები დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადავლენ.

რაც შეეხება სკოლებში უსაფრთხოებას, უწყებაში აცხადებენ, რომ კორონავირუსის პრევენციის მიზნით, ახალი სასწავლო წლისთვის, სამინისტრომ საჯარო სკოლები სრულად უზრუნველყო პირბადეებით, დისტანციური, უკონტაქტო თერმომეტრებით, დეზობარიერითა და ზედაპირების სადეზინფექციო სითხეებით.

„დისტანციური სწავლების გამოცდილება საქართველოს საჯარო სკოლებს ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლიდან აქვთ. შედეგად, 600 000-ზე მეტ მოსწავლესა და 55 000-მდე მასწავლებელს სპეციალური პროფილები უკვე გააქტიურებული აქვთ და სამინისტროს მხარდაჭერით, შესაძლებლობა ეძლევათ, სრულყოფილად ისარგებლონ შეთავაზებული ონლაინ ინსტრუმენტებით – Microsoft office 365-ით, რომელიც აერთიანებს Microsoft TEAMS, OneNote-ს და სხვა. ამასთან, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) წარმომადგენლებმა, საქართველოს საჯარო სკოლების ყველა კლასისთვის, პროგრამა TEAMS-ში ვირტუალური საკლასო ოთახები შექმნეს და პედაგოგებს ეხმარებიან სწავლა-სწავლების პროცესისთვის მხარდამჭერი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამართვასა და დანერგვაში.

დისტანციური სწავლების მიმართულებით ერთ-ერთ მთავარ რესურსს წარმოადგენს „ტელესკოლაც“, რომელიც ახალ სასწავლო წელს ახალი სეზონით განახლდა. საეთერო ბადე ყველა საფეხურის საგანს მოიცავს. გაკვეთილების დაგეგმვისას, სპეციალური პედაგოგებისა და ფსიქოლოგების რეკომენდაციების საფუძველზე, მაქსიმალურად არის გათვალისწინებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესები.“ – ვკითხულობთ სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ახალგაზრდები პროფესიული პროგრამის დასრულებას უწყვეტად შეძლებენ – ცვლილება კანონში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, პროფესიული განათლების მიღების მსურველ სტუდენტებს სავალდებულო სამხედრო სამსახური პროგრამის დასრულებამდე გადაუვადდებათ. შედეგად, ახალგაზრდები პროგრამის დასრულებას უწყვეტად შეძლებენ.

საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება. სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტის თანახმად, პროფესიული განათლებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცემათ, სასურველ პროგრამაზე სწავლა დაასრულონ, კონკრეტული საქმის სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ, შესაბამისი კვალიფიკაცია მიიღონ და სწორედ ამის შემდეგ დაიწყონ სავალდებულო სამხედრო სამსახური. ბევრი ახალგაზრდა სწორედ აღნიშნული შესაძლებლობის არარსებობის გამო წყვეტდა სწავლას ან საწყის ეტაპზევე უარს ამბობდა პროფესიული განათლების მიღებაზე.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი აცხადებს, რომ: *„აღნიშნული სიახლე დადებითად აისახება პროფესიული განათლების სისტემაზე, ვინაიდან ის გახდება ბევრად უფრო ხელმისაწვდომი. სურვილის მიუხედავად, ბევრი ვაჟი ვერ ახერხებდა განათლების მიღებას იმ მიზეზით, რომ პროფესიულ სასწავლებელში სწავლის პერიოდში იღებდა გაწვევას და სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად სწავლის შეწყვეტა უხდებოდა.*

პროფესიულ სასწავლებლებში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადება არ ეხებათ იმ სტუდენტებს, რომლებმაც უკვე ისარგებლეს იმავე პროგრამით უმაღლეს სასწავლებლებში“.

აღსანიშნავია ისიც, რომ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, გადავადება მოხდება მხოლოდ ერთხელ და ისიც მხოლოდ პროგრამის ხანგრძლივობის ვადით.

როგორც ცნობილია, პროფესიული განათლების განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისთვის და ახალგაზრდების უმუშევრობის დონის შემცირებისთვის პროფესიულ განათლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ის პროფესიის დაუფლებისა და დასაქმების უმოკლეს გზას წარმოადგენს. წარმოდგენილი ინიციატივა კი პოზიტიურ გავლენას მოახდენს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობაზე, რასაც პოსტპანდემიურ პროცესებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საზოგადოებრივმა სექტორმა, განათლების სისტემის დეპოლიტიზების ხელშეწყობის მიზნით, საზოგადოებრივი კომისია წარადგინა

სკოლების დეპოლიტიზების მხარდამჭერი საზოგადოებრივი კომისია შეიქმნა. კომისიის შექმნა ეფუძნება 2020 წლის 17 სექტემბრის განათლების კოალიციისა და პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის ინიცირებულ განცხადებას, რომელშიც 38 ხელმომწერი ორგანიზაცია ხელისუფლებას განათლების სისტემის დეპოლიტიზების მოთხოვნით მიმართავს.

კომისიის შემადგენლობაში შედიან განათლების სპეციალისტები, უფლებადამცველები და მედიის წარმომადგენლები. კომისია მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე და მისი წევრობა ღიაა დაინტერესებულ პირთათვის. კომისიის წევრები არიან: ანა აბაშიძე, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის; რევაზ აფხაზავა, განათლების კოალიცია; ლიკა ზაკაშვილი, ონლაინგამოცემა „პუბლიკა“; ნინო ზაუტაშვილი, საზოგადოებრივი მაუწყებელი; მეგი კავთუაშვილი, მშობლები განათლებისთვის; კამილა მამედოვა, სათემო რადიო „მარნეული“; გიორგი ჭანტურია, განთლების კოალიცია; ირინა ხანთაძე, კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრი.

სკოლების დეპოლიტიზების მხარდამჭერი საზოგადოებრივი კომისიის მიზანია დაიცვას ზოგადი განათლების სისტემაში ჩართული ადამიანები (მასწავლებლები, დირექტორები და ა.შ.) პოლიტიკური ნიშნით დევნისა და დისკრიმინაციისაგან.

კომისია დააკვირდება საარჩევნო პროცესებს და რეაგირებას მოახდენს შესაბამის ფაქტებსა და მომართვებზე. ამასთან, კომისია ხელს შეუწყობს აღნიშნული ფაქტების გავრცელებას და შუამდგომლობას გაუწევს დაინტერესებულ პირებს უფლებადამცველ ორგანიზაციებთან. ასევე, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, კომისია აქტიურად ითანამშრომებს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან (ISFED), ინფორაციის გაცვლისა და კოორდინაციის მიზნით.

კომისია მოუწოდებს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის შემთხვევაში მიმართონ: efacoalition@efagerorgia.ge, ტელ.: 591819797

მშობელთა კრება

არის თუ არა ტემპერატურის კონტროლი კორონავირუსის დასადგენად ყველაზე ეფექტური გზა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სკოლებსა თუ სხვა დაწესებულებებში მოსახვედრად თერმოსკრინინგი აუცილებელი პირობაა. თუმცა, მედიკოსთა და ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ COVID-19-ის დასადგენად ტემპერატურა სწორი და ეფექტური გზა ნამდვილად არ არის. განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარი მოზარდებზეა, რადგან შემთხვევათა უმრავლესობაში ბავშვებში კორონავირუსი სიცხით არ გამოიხატება. მიუხედავად მთელი რიგი სკანერებისა, შეცდომის დაშვების რისკი ძალიან მაღალია.

ბევრ შემთხვევაში მშობლები პანიკაში ვარდებიან და შვილებს სიცხეს ძალიან ხშირად უზომავენ. დაფიქსირებული დაბალი სიცხე აშინებთ და საავადმყოფოს ხშირი სტუმრებიც ხდებიან. არადა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, სიცხე კორონავირუსის გამო არ არის გამოწვეული და პატარებს უბრალოდ დაბალი სიცხის სინდრომი აქვთ. ეს სინდრომი წარსულში შედარებით შეუმჩნეველი იყო და კოვიდმა ბევრად აქტუალური გახადა.

დაბალი სიცხის სინდრომი ნამდვილად არ მომრავლდა, ჩვენ უბრალოდ მას უფრო ხშირად ვამჩნევთ, რადგან სიცხეს აკონტროლებს ყველა და ყველგან – ამერიკელმა მედიკოსებმა COVID-19-ის დიაგნოზის მქონე 300 ბავშვი გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ სიცხე მათ 56%-ს უფიქსირდებოდა. მიუხედავად ამისა, პედიატრთა ასოციაციამ სკოლებისთვის რეკომენდაცია გასცა, რომ მოსწავლეების შემოწმებისას უნივერსალური მეთოდები არ გამოიყენონ.

„ბავშვების სკრინინგით უსაფრთხო გარემოს შეგრძნება იქმნება, რაც სწორი ნამდვილად არ არის“ – განაცხადა ნათან ბირსმა, ვაშინგტონის ჰოსპიტალის მთავარმა პედიატრმა. მისი აზრით, ტემპერატურას მრავალი ფაქტორი – ასაკი, სქესი, ცხოვრების რიტმი და ბევრი სხვა მიზეზი განაპირობებს.

ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევამ აჩვენა, რომ ზრდასრული ადამიანის ტემპერატურა, დღის სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვაა და ორგანიზმის ინდივიდუალურ მახასიათებლებზეა დამოკიდებული. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევების უმრავლესობა ზრადსრულებზე ტარდებოდა და, ბავშვების შემთხვევაში, ტემპერატურასთან დაკავშირებული დეტალები ჯერ კიდევ უცნობია.

ექიმი ჯენი მარტინი თავის ქალიშვილს, სლოუნს ტემპერატურას ყოველ დილით უზომავს და მონაცემებს ინიშნავს. ამის შემდეგ გოგონა სკოლაში მიდის, სადაც სიცხეს უკონტაქტო თერმომეტრით ზომავენ.

„თერმომეტრი კბილის ჯაგრისის გვერდით გვიდევს და ის ყოველდღიურ რუტინად ვაქციეთ. ვიცით, რომ სიცხე კოვიდის პირველი ინდიკატორი აღარ არის, თუმცა სულ არაფერს ეს ჯობს“.

უკონტაქტო თერმომეტრი, მედიკოსთა ნაწილის აზრით, სწორი არ არის. საქმე ისაა, რომ მისი მაჩვენებელი შესაძლოა ოფლის, მაკიაჟის და დღის მონაკვეთის გამოც კი შეიცვალოს. ყველაზე სწორი ტრადიციული თერმომეტრია, რომელსაც ბევრი ჩვენგანი დღემდე იყენებს.

სპეციალისტები იმასაც აზუსტებენ, რომ ბევრი თერმომეტრის სიზუსტე გამოყენების ხანგრძლივობის მიხედვით მცირდება. ყველა თერმომეტრს თავისი ვარგისიანობის ვადა აქვს და მოხმარებისას ამ ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია.

წყარო: https://www.fortuna.ge/

სკოლამდელი აღზრდა

12 ოქტომბრიდან დედაქალაქის საბავშვო ბაღებში ახალი რეგულაციები ამოქმედდება

თბილისის საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო წლის დაწყება 12 ოქტომბრიდან იგეგმება. აღსანიშნავია, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში სააღმზრდელო წლის დაწყების ვადების შესახებ გადაწყვეტილებას უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო იღებს. ახალი რეგულაციების შესრულება, რაც კორონავირუსის პანდემიამ განაპირობა, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 5 მილიონ ლარზე მეტი დაუჯდება.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მე-4 და 55-ე საბავშვო ბაღებს სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდათ. ოქტომბერში დედაქალაქს ორი ახალი – №102 (გლდანის მე-8 მ/რ) და №93 (ჭიაურელის ქუჩა, დიდუბის რაიონი) – საბავშვო ბაღი შეემატება; ნოემბრის ბოლოს კი, კიდევ ორი ბაღი – №164 (ვარკეთილის ზემო პლატო) და №101 (გლდანის მე-6 მ/რ) დაიწყებს ფუნქციონირებას.

სააგენტოს ინფორმაციით, ახალი რეგულაციებით, ეპიდემიოლოგების ყველა მითითება და მოთხოვნა ზედმიწევნით უნდა შესრულდეს. რასაკვირველია, სააგენტოს და ბაღს მჭიდრო ურთიერთობა ექნება. ბაღების მართვის სააგენტო, ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, რეაგირებას თითეულ შემთხვევასთან დაკავშირებით მოახდენს. ბაღებში, ყოველდღიურად, განხორციელდება თერმოსკრინინგი, სიცხის დაფიქსირების შემთხვევაში, აღსაზრდელს საიზოლაციო ოთახში გადაიყვანენ. ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინებენ მშობელს, რომელიც ვალდებულია, დროულად წაიყვანოს ბავშვი საბავშვო ბაღიდან და მიმართოს ექიმს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბაღი 112-ს დაუკავშირდება.

თუ აღსაზრდელს სეზონური გრიპი ან სხვა ვირუსი დაუფიქსირდება, ჯგუფი, გეგმიური სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელების შემდეგ, აღადგენს ფუნქციონირებას. კორონავირუსის დადასტურების შემთხვევაში, რისკ ჯგუფების მოკვლევას ჯანდაცვის უწყების ეპიდემიოლოგები განახორციელებენ და ზედმიწევნით შესრულდება მათი მითითებები. ამ შემთხვევაში, საკითხის მართვა ჯანდაცვის უწყების კომპეტენციაში გადავა.

აღსანიშნავია, რომ საერთო საგნების მოხმარების მაქსიმალურად შეზღუდვის მიზნით, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ბაღში ინდივიდუალური ჩანთები დაურიგდებათ, რომლებშიც პერსონალური ნივთები და სხვადასხვა მეთოდური მასალა (ფანქრები, მაკრატელი, პასტელები და სხვა) იქნება მოთავსებული. კატეგორიულად იკრძალება სახლიდან წაღებული ნივთების ბაღში შეტანა, ბაღის კუთვნილი სათამაშოების დეზინფექცია კი, დღის განმავლობაში, რამდენჯერმე მოხდება.

უსაფრთხოების ზომების გაძლიერების მიზნით, საბავშვო ბაღის შენობაში მშობლები არ დაიშვებიან. აღსაზრდელებს, შენობის შესასვლელთან, ეკიპირებული თანამშრომელი დახვდება, რომელიც მათ ჯგუფებამდე და აღმზრდელებამდე მიაცილებს. ბავშვები, თავიანთ ჯგუფებში, დაიყოფიან ქვეჯგუფებად, რომლებსაც ერთმანეთთან მინიმალური შეხება ექნებათ, იმავე პრინციპით წარიმართება კვების პროცესი. საბავშვო ბაღის პერსონალი აღჭურვილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

აიკრძალა მაშტაბური ღონისძიებების, ზეიმების, ფესტივალების ჩატარება. ასევე, აკრძალულია სხვადასხვა ჯგუფის აღსაზრდელების შერევა როგორც საგანმანათლებლო აქტივობების, ისე კვების დროს. მზიან ამინდში შესაძლებელია საღამოს აღმზრდელო პროცესის ეზოში წარმართვა.

მკაცრდება თეთრეულის რეცხვის წესი და საბავშვო ბაღებს, რეგულაციით გაწერილი წესების ზედმიწევნით დაცვით, კომპანია მოემსახურება. სამზარეულოებში ჭურჭელი სამგანყოფილებიან ნიჟარაში, 65 გრადუს ცელსიუსის ტემპერატურის წყალში გაირეცხება, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება მოუწევთ დისტრიბუტორებსაც. მშობლები ბავშვების გაყვანას მხოლოდ მათთვის განსაზღვრულ დროის მონაკვეთში შეძლებენ.

მოამზადა **მაკა ყიფიანმა**

მანდატურის სამსახური

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის 2019–2020 სასწავლო წლის ანგარიში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ეკატერინე დგებუაძემ და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსმა გელა გელაძემ საზოგადოებას მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის წლიური ანგარიში წარუდგინეს.

ღონისძიებას გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი ღასან ხალილი და სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ეკატერინე დგებუაძემ, გელა გელაძესთან ერთად, დამსწრე საზოგადოებას მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ, 2019-2020 წლებში, განხორციელებული ერთობლივი პროექტებისა და აქტივობების ფარგლებში მიღწეული შედეგები გააცნო და მიმდინარე პროექტების მიზნებსა და სტრატეგიაზე ისაუბრა.

2019-2020 სასწავლო წელს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა, მათ შორის:

➪ „მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება“, რომლის მიზანს ცენტრის თანამშრომლების ინტენსიური გადამზადება წარმოადგენდა.

➪ „მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდების პროცესის გაძლიერება“, რომელიც მოსწავლეთა ქცევის აღწერის ფორმისა და მოზარდთა თვითანგარიშის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებას გულისხმობდა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, შეიქმნა საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მუშაობის განვითარების მოდელი და, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან თერაპიული მუშაობისა და მათი უნარების განვითარების კუთხით, სხვადასხვა აქტივობა განხორციელდა.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ სამინისტროს მთავარ პრიორიტეტს სკოლებში ბავშვთა კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს და ამ მიმართულებით სამინისტრო, UNICEF-ის ხელშეწყობით, არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მინისტრის მოადგილე და ღონისძიების მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართულები დისკუსიაში, რომელიც სასკოლო უსაფრთხოებისა და პრევენციის საკითხებს ეხებოდა.

შეხვედრის დასასრულს, ნაჩვენები იყო ანიმაციური და ვიდეორგოლები, რომელიც მანდატურის სამსახურმა გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მოამზადა, ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ბულინგი; გაჯეტდამოკიდებულება მოზარდებში; ეფექტური კომუნიკაცია პედაგოგებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის და სხვ.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი 2013 წლის 10 აპრილს შეიქმნა და მისი მიზანია ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე სკოლის ასაკის ბავშვების/მოზარდების და მათი მშობლების/მეურვეების ფსიქოსოციალური მომსახურება. მომართვიანობა ყოველწლიურად იზრდება, ცენტრი ბენეფიციარებს სთავაზობს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ სერვისებს. ცენტრში, ფსიქოგანათლების მიმართულებით, ხორციელდება საინფორმაციო და საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრები მშობელთა ჯგუფებთანაც, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მშობლის და შვილის ეფექტურ კომუნიკაციას, მათ შორის ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის განვითარებას. ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სერვისები უფასოა.

Info
www.akhaliganatleba.ge

19 ოქტომბერს, აჭარის გარდა, ყველა უმაღლეს და პროფესიულ დაწესებულებაში, სტუდენტები აუდიტორიებს დაუბრუნდებიან

25 სექტემბერს, სტუდენტების საინიციატივო ჯგუფთან შეხვედრაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ნუნუ მიცკევიჩმა სასწავლო ფორმატთან დაკავშირებული საკითხები – სასწავლო პროცესის საუნივერსიტეტო სივრცეში გაგრძელების დეტალები განიხილა და სტუდენტებს სააუდიტორიო სივრცეებში დაბრუნების გეგმა გააცნო.

„ჩვენ მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი იქნება სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვით განპირობებული. – განაცხადა მინისტრის მოადგილემ, – გადაწყვეტილებას არადისტანციურად სწავლის გაგრძელების შესახებ მივიღებთ ეტაპობრივად, თანდათანობით, როგორც ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე მთლიანად უნივერსიტეტების შემთხვევაში. იმედი გვაქვს, ძალიან მალე, ამ სემესტრის განმავლობაში, უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე აუდიტორიებში გააგრძელებს სასწავლო პროცესს.“

მან აღნიშნა, რომ თელავისა და ახალციხის უნივერსიტეტებთან ერთად, პირველი ოქტომბრიდან, სასწავლო პროცესს სააუდიტორიო სივრცეში გორის უნივერსიტეტიც განაგრძობს. *„სამინისტრო ყოველთვის მზად არის თანამშრომლობისთვის, შესაბამისად, სტუდენტებთან შეხვედრები რეგულარულად იმართება და მიმდინარე აქტუალური საკითხები მათთან ერთად განიხილება“* – აცხადებს ნუნუ მიცკევიჩი.

28 სექტემბერს, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგ, ბრიფინგზე, მიხეილ ჩხენკელმა საზოგადოებას უფრო დაზუსტებული ინფორმაცია მიაწოდა:

„დღეს უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღეთ განათლებასთან დაკავშირებით და მინდა მათ შესახებ მოგახსენოთ. პირველ რიგში, მინდა გავიმეორო, რომ ის, რაც წინა კვირას განვაცხადეთ, პირველ ოქტომბერთან დაკავშირებით, პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვის, ეს ძალაში რჩება, კერძოდ, პირველ ოქტომბერს, იმ სკოლებში, სადაც სასწავლო პროცესი დისტანციურად მიმდინარეობდა, მოსწავლეები პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, საკლასო ოთახებში ბრუნდებიან, რასაკვირველია, ეს არ ეხება აჭარას. ასევე მინდა გავიმეორო ის მნიშვნელოვანი გარემოება, რა-

საც განათლების სამინისტრო სთავაზობს პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მოსწავლეებს, ეს გახლავთ ის, რომ თუ მოსწავლეების მშობლები გადაწყვეტენ, რომ ურჩევნიათ, მათმა შვილებმა სასწავლო პროცესი დისტანციური ფორმით გააგრძელონ, ეს იქნება სრულად უზრუნველყოფილი.

რაც შეეხება დღევანდელ გადაწყვეტილებებს, 12 ოქტომბერს, აჭარის გარდა, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, განაახლებენ ფუნქციონირებას საბავშვო ბაღები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებაა, რომ 19 ოქტომბერს, აჭარის გარდა, ყველგან, სტუდენტები დაბრუნდებიან აუდიტორიებში, შესაბამისად, უნივერსიტეტები და პროფესიული სასწავლებლები, უკვე არა დისტანციურად, არამედ აუდიტორიებში განაახლებენ ფუნქციონირებას.

აქვე მინდა, კიდევ ერთხელ, ვთხოვო საზოგადოებას, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ყველამ ზედმიწევნით დაიცვას ჯანდაცვის სფეროს რეკომენდაციები და ჩვენს ბავშვებს – სკოლის მოსწავლეებს, უნივერსიტეტისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებს – მივცეთ ეს შესაძლებლობა, რომ, შესაბამისად, საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში გაგრძელონ მეცადინეობა.

ჩვენ ძალიან დეტალურად ვაკვირდებით დინამიკას და ადაპტაციის პროცესის ეტაპების გათვალისწინებით არის შერჩეული ეს თარიღები – 12-იც და 19-იც ორშაბათია. ეტაპობრივად მოხდება მოსწავლეებისა და სტუდენტების დაბრუნება საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, მოსწავლეები, აჭარის გარდა, საკლასო ოთახებში დაბრუნდებიან, რაც შეეხება ზედა კლასების მოსწავლეებს, მეშვიდედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ამასთან დაკავშირებით ახლო მომავალში გავაკეთებთ განცხადებას.“

ჯერჯერობით, ისევ გაურკვეველია უფროსკლასელთა ბედი, როდის შეძლებენ საკლასო ოთახებში დაბრუნებას და სრულფასოვან სასწავლო პროცესში ჩართვას.

ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ 2020-ის გამარჯვებულები ცნობილია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მწერალთა სახლის ერთობლივი ლიტერატურული პრემიის – „ლიტერას“ დაჯილდოება გაიმართა. რიგით მეხუთე საიუბილეო დაჯილდოებაზე გამარჯვებულები ექვს ნომინაციაში გამოვლინდნენ:

წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი
თინათინ ჩხიკვიშვილი – ჯანა ამირეჯიბის წიგნისთვის „მე – ნამდვილი კოკოშა“, გამომცემლობა „არტანუჯი“;

წლის საუკეთესო დებიუტი
ნინი ელიაშვილი – „წერტილის შემდეგ“, გამომცემლობა „ინტელექტი“;

საუკეთესო დოკუმენტური პროზა
გიორგი მაისურაძე – „სხვა ენა“, გამომცემლობა „ინდიგო“;

წლის საუკეთესო პოეტური კრებული
შოთა იათაშვილი – „XXI საუკუნის დასაწყისის პოეტი“, გამომცემლობა „ინტელექტი“;

წლის საუკეთესო პროზაული კრებული
ეკა ქევანიშვილი – „არაფერი დედაჩემის შესახებ“, გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“;

წლის საუკეთესო რომანი
ირაკლი სამსონაძე – „ქელეხი – ქორწილი“, გამომცემლობა „ინტელექტი“.

გამარჯვებულებს, პრიზებთან ერთად, ფულადი ჯილდო გადაეცათ.

კორონავირუსის პანდემიის გამო, ღონისძიება რეგულაციების დაცვით, ღია ცის ქვეშ, მწერალთა სახლის ეზოში გაიმართა. ღონისძიებას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მრჩეველი ქეთევან დუმბაძე დაესწრო.

ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ 2015 წელს დაარსდა და მისი მიზანია ლიტერატურული პროცესების წახალისება და გააქტიურება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საყურადღებოდ

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

➪ იმ მაგისტრების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხელშეკრულებები, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, **2020 წლის 4 ოქტომბრის ჩათვლით**, სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში უნდა ასახონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება.

➪ გრანტს ვერ მოიპოვებს ის მაგისტრი, რომელმაც მოიპოვა შესაბამისი ქულა საერთო სამაგისტრო გამოცდაში, მაგრამ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომლის მაგისტრატურაში ჩაირიცხა პირი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტი არ ასახა ცენტრის ელექტრონულ პროგრამაში ან ასახა დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

26 სექტემბერი ენების ევროპული დღეა

ენების ევროპული დღე ევროპის საბჭოს მიერ ევროპის კულტურული მრავალფეროვნებისა და მრავალენოვნების აღსანიშნავად, 2001 წელს, დაწესდა. ეს დღე, ყოველწლიურად, 26 სექტემბერს აღინიშნება. მისი მიზანია ევროპის საბჭოს 47 წევრ ქვეყანაში მცხოვრები რვაასი მილიონი ადამიანის წახალისება – ისწავლონ უფრო მეტი ენა ნებისმიერ ასაკში, სკოლასა თუ მის ფარგლებს გარეთ. ლინგვისტური მრავალფეროვნება კულტურათაშორისი თავისებურებების და ევროპის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია, ამდენად ევროპის საბჭო ფართოდ უწევს პოპულარიზაციას პლურილინგვალიზმს მთელ ევროპაში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში, ქართული ენის პოპულარიზაციისათვის მომზადებული ელექტრონული მასალები – ბროშურები, პოსტერები, კალენდარი, წიგნის სანიშნე ქართული ანბანით, მუსიკალური ვიდეოკლიპი „ქართული ანბანი“ – ინტერნეტ გვერდზე განათავსა, რაც მათი დათვალიერების, ჩამოტვირთვისა და ბეჭდვის საშუალებას იძლევა – http://geofl.ge/lego/september26.php?parent=68

ევროპის საბჭოს თანამედროვე ენების ევროპულ ცენტრს სპეციალური მრავალენოვანი ვებგვერდი აქვს შექმნილი ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილი, სადაც შესაძლებელია მრავალმხრივი ინფორმაციის მოძიება ამ დღის შესახებ. პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში მომზადდა ვებგვერდის ქართული ვერსია.

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.